პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

KOMUNISTI — სკკპ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 პარასკევი 9 ივლისი № 159 (16589) ფასი 2 კაპ. 1976



ქართლის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად საქართველოს პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები აუმჯობესებენ ადამიანთა აღზრდას კომუნისტური მორალის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, შრომისა და სახალხო დოვლათისადმი შეგნებული დამოკიდებულების, სოციალისტური დისციპლინისა და საერთო საქმისათვის პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

ცხოვრების დიდ გზაზე

კოსტრომის ოლქის საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა შეკრების მონაწილეებს, რომლებმაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მუშაობის სურვილი გამოთქვეს

ძვირფასო ნორჩო მეგობრებო!

გულითადად მოგესალმებით თქვენ — საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს, რომლებმაც გადაწყვიტეთ თქვენი ბედი მხვნელ-მთესველის, მეცხოველის, მშენებლის კეთილშობილური შრომას დაუკავშიროთ, ჩვენი სახელოვანი სოფლის მშრომელების რიგებს შეუერთდეთ. თქვენს წამოწყებას, უეჭველია, უაღრესად ფართოდ დაუჭერენ მხარს ჩვენი ქვეყნის კომკავშირელები, ყველა ქალიშვილი და ბაბუკი. დარწმუნებული ვარ, რომ სკოლების მრავალი ათასი კურსდამთავრებული თქვენს მაგალითს მიბაძავს.

სწავლის წლებში თქვენ საფუძველი ცოდნას დაეუფლეთო, მოსწავლეთა ბრიგადებში შრომითი წრთობისა და მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის აღზრდის პირველი სკოლა გაიარეთ, მინდვრებსა და ფერმებში მუშაობის პროფესიული ჩვევები შეიძინეთ. სოფლის მეურნეობის განვითარების, მისი სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, სამრეწველო საფუძველზე გადაყვანის იმ ამოცანების შესრულებაში აქტიური მონაწილეობა, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ დასახა, დიდ შესაძლებლობებს გიქმნით შემოქმედებითი ძალებისა და ინიციატივის გამოსავლინებლად, იმ ცოდნის გამოსაყენებლად, რომელიც სკოლაში მიიღეთ.

მაგრამ ჩემი აზრით, თქვენ არ დასჯერდებით მიღწეულს, არ დაგაკმაყოფილებთ ცოდნის ის მარაგი, რომელიც შეიძინეთ. დღეს სოფლის მეურნეობას მარტო მუშახელი კი არ სჭირდება, არამედ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, რომლებიც დაუფლებული არიან თანამედროვე ტექნიკას, თავიანთი საქმის ნამდვილი ოსტატები. მეცხოველეობის ფერმაში, ტრაქტორსა თუ კომბაინზე, კოლმეურნეობისა თუ საბჭოთა მეურნეობის წარმოების ნებისმიერ უბანზე მუშაობასთან ერთად, თქვენ, უეჭველია, სისტემატურად აიმაღლებთ განათლებას, კულტურულ და პროფესიულ დონეს, დაეუფლებით უახლეს მეცნიერულ და ტექნიკურ მიღწევებს. ამისათვის ჩვენს ქვეყანაში ყველა შესაძლებლობაა.

თქვენი შრომითი ბიოგრაფიის პირველი წლები პასუხსაგები ცხოვრებისეული გამოცდაა. ცხოვრებაში ლხინიც შეგხვდებათ და ჭირიც. მაგრამ თქვენს გვერდით შრომობენ თქვენი უფროსი ამხანაგები, შეხანშავი დამრიგებლები. ისინი ყოველთვის დაგეხმარებიან სწორი გადაწყვეტილების მიღებაში, მზრუნველობასა და ყურადღებას არ მოგაკლებენ, უფროს თაობათა გამოცდილებით შეგიარაღებენ, გადმოგცემენ კეთილშობილურ მისწრაფებას, რომ თავდადებით იშრომოთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ძვირფასო მეგობრებო! თქვენ იწყებთ დიდ შრომითს ცხოვრებას. გახსოვდეთ, რომ ახლა თქვენი შრომის შედეგებზეც ბევრად არის დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებულად იცხოვრებს ხალხი, რამდენად დოვლათიანი იქნება ჩვენი ქვეყანა. იყავით მშობელი მხარის ბატონ-პატრონნი მაღალი წოდების ღირსნი, ცხოვრების ყოველი დღით მოაახლოვეთ დიადი მიზანი — კომუნიზმის აშენება!

ლ. ბრეჟნევი,

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.



1976 წლის 7 ივლისს 16 საათსა და 40 წუთზე მოსკოვის დროით განხორციელდა „სოიუზ-21“ სატრანსპორტო ხომალდის შეპირაპირება „სალუტ-5“ სადგურთან. კოსმონავტების ბ. ვ. ვოლინოვისა და ვ. მ. ყოლობოვის დედამიწისირგვლივ ორბიტაზე სადგურში გადასვლის შემდეგ ამუშავდა პილოტირებული სამეცნიერო სადგური „სალუტ-5“.

ორბიტული სამეცნიერო სადგურის ეკიპაჟის მუშაობის პროგრამა ითვალისწინებს:

— დედამიწის ზედაპირის გეოლოგიურ-მორფოლოგიური ობიექტების, ატმოსფეროსა მოვლენებისა და წარმონაქმნების კვლევას სახალხო მეურნეობისათვის საჭირო მონაცემების მიღების მიზნით;

— კოსმოსურ სივრცეში ფიზიკური პროცესებისა და მოვლენების კვლევას;

— ტექნოლოგიური ექსპერიმენტების მოწყობას უწონობის პირობებში;

— სამედიცინო-ბიოლოგიურ კვლევას;

— სადგურის საბორტო სისტემებისა და აპარატურის გამოცდას.

საკდესის ცნობა

„სოიუზ-21“ კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟი „სალუტ-5“ სამეცნიერო სადგურში

პირველი სამუშაო დღე

ამხანაგები ვოლინოვი და ყოლობოვი თავს კარგად გრძნობენ.

„სალუტ-5“ ორბიტული სადგურის ეკიპაჟმა ფრენის პროგრამის შესრულება დაიწყო. (საკდესი).

ფრენის მართვის ცენტრი, 8 ივლისი. (საკდესი). კოსმონავტები ბ. ვ. ვოლინოვი და ვ. მ. ყოლობოვი ზუსტად განგარიშებულ დროში შეუპირაპირდნენ ორბიტულ სამეცნიერო სადგურს „სალუტ-5“, გადავიდნენ სადგურში და შეუდგნენ სამეცნიერო აპარატურის განკონსერვებასა და შემოწმებას. ეკიპაჟმა დიდი შეფასება მისცა მოწყობილობასა და ჰერმეტულ ნაკეთურებში უზრუნველყოფილ კომფორტულ პირობებს.

ეკიპაჟის მოხსენებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების თანახმად, კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ. ბორის ვოლინოვის მაჯისცემაა 58, ვიტალი ყოლობოვისა — 52, ორივე კოსმონავტის სუნთქვის სიხშირეა 12.

პილოტირებული სამეცნიერო სადგურის „სალუტ-5“-ის ყველა საბორტო სისტემა ნორმალურად მოქმედებს. ფრენა ზუსტად დასახული პროგრამით მიმდინარეობს.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესია

მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება — უპირველესი საზრუნავი

8 ივლისს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში მუშაობა დაიწყო რუსეთის სფსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით, ფეხზე ამდგარი შეხვედნენ დეპუტატები და სტუმრები ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. პ. კირილენკოს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. თ. უსტინოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, ი. ვ. კაპიტონოვს, მ. ვ. ზიმიანინს, კ. უ. ჩერნენკოს.

სესია გახსნა რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ვ. ა. კოტელნიკოვმა.

სესია განიხილავს რუსეთის ფედერაციის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანებს რესპუბლიკაში საბალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების დარგში. სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, რუსეთის სფსრ წიაღის კოდექსის პროექტს და დაამტკიცებს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს.

მოხსენება — რუსეთის ფედერაციის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანები რესპუბლიკაში საბალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების დარგში სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად—გააკეთა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ი. ვოროტნიკოვმა.

შემდეგ დაიწყო კამათი მოხსენების გამო.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესია განაგრძობს მუშაობას. (საკდესი).

ყოველნაირად განვამტკიცოთ სოციალისტური დისციპლინა

სკკპ XXV ყრილობის ვოთხოვნათა შესაბამისად

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული აქტივის კრებაზე

7 ივლისს რუსთავში, მეტალურგთა კულტურის სახლში, გაიმართა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული აქტივის კრება, რომელშიც განიხილა საწარმოს კოლექტივის ამოცანები დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების საქმეში სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნებისა და „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად.

კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ბ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ვ. მ. ხირაძე, ზ. ა. ჩხეიძე, ე. ა. შევარდნაძე, თ. ი. მოსაშვილი, ჟ. ა. შარტავა, ხ. ე. ხაბეიშვილი, რესპუბლიკისა და ქალაქის პასუხისმგებელი პარტიული მუშაკები, სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატები, წარმოების მოწინავეები და ვეტერანები.

კრება გახსნა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. შ. ბაძრაძემ.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენს რესპუბლიკაში, ამ დღეებში განსაკუთრებული შრომითი ენთუზიაზმის, უმაგალითო პოლიტიკური აღმავლობისა და სოციალური შემოქმედების ატმოსფერო სუფევს. ყოველ ჩვენგანზე წრფელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენი რესპუბლიკისთვის ისტორიულმა პარტიულმა დოკუმენტმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“.

როგორც „პრავდის“ გუშინდელ ნომერში აღინიშნა, ამ საერთო-პარტიული მნიშვნელობის დოკუმენტში, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით მიღებულ, მოცემულია პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების შესასრულებლად რესპუბლიკის კომპარტიის ბრძოლის ღრმად მეცნიერული, დიალექტიკური ანალიზი, აღნიშნულია რესპუბლიკის კომუნისტებისა და მშრომელების მიღწევები მეცხრე და მეათე ხუთწლედების მიჯნებისათვის ბრძოლაში, მთელი ყურადღება ეთმობა გადაუჭერელ ბრძოლებს, მეცნიერულად არის განსაზღვრული შემდგომი წინსვლის გზები.

საქართველოს რესპუბლიკური პარტორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილება დიდმნიშვნელოვანი მარქსისტულ-ლენინური დოკუმენტია, რომელიც მოქმედების მკაფიო და კონკრეტულ პროგრამას შეიცავს.

აღნიშნული დადგენილების მიღება კიდევ ერთხელ თვალნათლივ ცხადყოფს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ჭეშმარიტად ლენინურ ზრუნვას საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყველა რაზმისათვის.

უაღრესად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბოლო ოთხი წლის მანძილზე სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მეოთხე სამი ფუძემდებელი დადგენილება: პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ.

საბჭოთა საქართველოს და მისი კომპარტიის ისტორიაში ჯერ არასოდეს ყოფილა ისეთი ხანა, რომ ესოდენ მოკლე ვადაში (1972-1976 წლები) ამდენი პარტიული დოკუმენტი მიეღოთ.

ეს მოწმობს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიურო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლენინური სიბრძნით, საქმიანად და კონკრეტულად ხელმძღვანელობენ მოძმე რესპუბლიკებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ჩვენი საქმიანობის მაღალი შეფასება გვავალებს დღეს გუშინდელზე უკეთ ვიმუშაოთ, ხვალ — დღევანდელზე უკეთ.

დღეს არ გვეგულება უფრო დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე პარტიის აღნიშნული გადაწყვეტილების განხორციელება. ეს ჩვენი რესპუბლიკის პატივისა და ღირსების საქმეა.

ამ დადგენილებით დიდი ნდობა გამოუცხადეს ჩვენს კომპარტიასა და ჩვენს რესპუბლიკას. უნდა გავუფრთხილდეთ ამ ლენინურ ნდობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს საქართველოს კომპარტია პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ გადაწყვეტილებას, **პოლიტიკური ასპექტით ნიშნავს რესპუბლიკის პოლიტიკური ორგანიზაციის, მთელი პოლიტიკური სისტემის** შემდგომ განმტკიცებას, ოპტიმალურ პირობებს უქმნის თანამედროვე კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კურსის ეფექტიან განხორციელებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილება ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი პოლიტიკური განმტკიცების გარანტია განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში, როცა ჩვენი საერთო-სახალხო სახელმწიფო განუხრელად ამრავლებს სოციალისტური სახალხო ხელისუფლების, სოციალისტური დემოკრატიისა და დისციპლინის განმტკიცების კურსს.

ეს დადგენილება ყველა პირობას უქმნის ჩვენი სახელმწიფოებრიობის, კანონიერების, წესრიგის, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის — ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური საფუძვლის შემდგომ განმტკიცებას, ხალხთა ლენინური მეგობრობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის განვითარებას, ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის ძირითადი განსხვავების აღმოუხვრას, სოციალისტური და კომუნისტური სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ურთიერთობის შემდგომ სრულყოფას.

ამოცანა ის არის, რომ ყველას ესმოდეს ამ დოკუმენტში ჩაქსოვილი დიდი პოლიტიკური აზრი და სწორად იყენებდეს მას რესპუბლიკისა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ეკონომიური ასპექტით ნაღნიშნული დადგენილება ყველაზე ხელშემწყობ პირობებს უქმნის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის მუშაობის შემდგომ სრულყოფას, რესპუბლიკის ეკონომიკის განმტკიცებასა და აყვავებას, მეცნიერულ საფუძველზე სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, **რომ** ამ დადგენილების როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური ასპექტები პრაქტიკულად ამოუწურავია.

სოციალური ასპექტით სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის ივნისის დადგენილებას ისეთივე ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკაში კომუნისტური მშენებლობის სოციალურ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტა ნიშნავს სოციალური სიკეთისა და ფასეულობების შემდგომ გამრავლებას, კომუნიზმის მშენებელთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების კიდევ უფრო ეფექტიან დაკმაყოფილებას, მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებას, თვითეული პიროვნების სოციალიზაციის გაძლიერებას, მისი სოციალური ორიენტაციის გაუმჯობესებას, შრომის, სწავლისა და დამსახურებული დასვენების კონსტიტუციური უფლებების უკეთ რეალიზაციას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის ივნისის დადგენილებას დიდი მნიშვნელობა აქვს **რესპუბლიკის კომპარტიის ორგანიზაციული განმტკიცებისა და იდეური ზრდისათვის.**

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენი სახელით, რესპუბლიკის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის სახელით მხურვალე მადლობა ვუძღვნა სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს, ჭეშმარიტად პარტიულ, ჭეშმარიტად ლენინურ ზრუნვას რომ იჩენენ საბჭოთა საქართველოს და მისი კომპარტიის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმისათვის, რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის, ქართველი ხალხისა და ჩვენთან ერთად ერთსულოვან ოჯახში მცხოვრები ყველა ხალხისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა და შრომითმა კოლექტივებმა, რომლებიც ეყრდნობიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობას და დახმარებას, უფრო სრულად იყენებენ შინაგან რეზერვებს, ძირითადად დაძლიეს სერიოზული ჩამორჩენა, რომელიც 1971-1972 წლებში იყო მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში. ამის შედეგად განვითარების ტემპის, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სიერთო მოცულობის მხრივ რესპუბლიკის მრეწველობამ მიაღწია სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულ ღონეს“.

აღინიშნა სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვა დარგებში მიღწეული წარმატებებიც. მაგრამ თვითდამშვიდების არავითარი საფუძველი არა გვაქვს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებაში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ ნათქვამია: „პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყველა იმ რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლის უთუოდ შესრულება, რომლებიც დასახულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებში. მათ უნდა უზრუნველყონ რესპუბლიკის საწარმოო ძალების უფრო სწრაფი განვითარება... ისინი უფრო მეტი ენერგიით უნდა იღვწოდნენ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, უფრო გადაჭრით ებრძოლნენ უფაიდაობის, ნედლეულის, მასალების, ფულადი სახსრების ხარჯვაში მფლანგველობის ფაქტებს, სამუშაო დროის დანაკარგებს“.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის იმავე 1976 წლის ივნისის დადგენილებაში უდრეკად ცხადად არის ნათქვამი, რომ საჭიროა „ბრძოლა ბიუროკრატიზმის, უპასუხისმგებლობის, უდისციპლინობის, მშრომელთა მოთხოვნილებათა და საჭიროებათა უგულებელყოფის არსებულ გამოვლინებათა წინააღმდეგ. ყოველმხრივ უნდა განვითარდეს კრიტიკა და თვითკრიტიკა, როგორც მიღწევების, ისე არსებული ნაკლოვანებების თვითკრიტიკული ანალიზი უნდა დაედოს საფუძვლად თვითეული პარტიული კომიტეტის, თვითეული ხელმძღვანელი მუშაკის, ყველა კომუნისტის საქმიანობას. უნდა განმტკიცდეს სახელმწიფო დისციპლინა, კადრები აღიზარდოს ამ სულისკვეთებით, რომ სახალხო-სამეურნეო გეგმებს ყველა მაჩვენებლით უთუოდ ასრულებდეს ყველა უბანი, ყველა კოლექტივი“.

აი რა უდიდესი ამოცანები დგას ჩვენს წინაშე, ამხანაგებო!

ამ ზოგადთა დალაშქვრა მოითხოვს მაქსიმალურ ორგანიზებულობასა და წინსვლისადმი სწრაფვას. ზემო ნათქვამის საფუძველზე კიდევ უფრო ნათელი ხდება დღეგანდელი ღონისძიების მნიშვნელობა, თვითეული თანამონაწილისა და ინიციატივის მნიშვნელობა.

დღეს საქართველოს მეტალურგთა და ქიმიკოსთა სახელოვან ქალაქში — ინდუსტრიულ რუსთავში დიდი ზეიმია — ამ ახალი თაობის, ახალი ინიციატივის დაბადების დღეა, რომელიც ხალხს წაიღია ეშვა. დიადი ლენინური ტრადიციის შესაბამისად რესპუბლიკის მუშათა კლასის, რუსთავის სახელოვანი მეტალურგების ამ თაობის სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ სიახლის ყლორტი, კომუნიზმის ყლორტი.

გამოიჩინეს რა ინიციატივა—**„სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას — მუშური გარანტია!“, „არცერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი — ჩვენს გვერდით!“**, რუსთაველმა მეტალურგებმა დაამტკიცეს, რომ ისინი თავიანთი საწარმოს, თავიანთი რესპუბლიკის ბატონ-პატრონნი არიან, მძაფრად გრძნობენ ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ცხოვრების მაჯისცემას, ბოლშევიკურად ესმით მუშათა კლასის მისია სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

ბედნიერი ვართ და ვამაყობთ იმით, რომ სკკპ ისტორიულმა XXV ყრილობამ მეცნიერული კომუნიზმის იდეებით ლენინურად ბრძნულად გააცისკროვნა ჩვენი თვალსაწიერი მომავლის ახალი მწვერვალებისა და ჰორიზონტებისაკენ. სსრ კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა არასოდეს ყოფილა ისეთი მტკიცე, როგორიც დღეს არის. ეს ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ ცხადყო ამას წინათ ბერლინში გამართულმა ევროპის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირმა. წარმატებით ხორციელდება სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული მშვიდობის პროგრამა, რომელიც შემოქმედებითად განვითარა პარტიის XXV ყრილობამ. ახალ წარმატებებს აღწევს განვითარებული სოციალიზმის ეპოქის ეკონომიკა და კულტურა. ჩვენ საკუთარ ძალებში დარწმუნებულნი გავყურებთ მომავალს.

ჩვენი საზოგადოების განვითარების დინამიზმი, მისი მასშტაბურობა — კომუნიზმის გზით ჩვენი წინსვლის დიალექტიკა. ახლა განსაკუთრებით მოითხოვს მუშაობის მეცნიერულად დასაბუთებულ მეთოდებსა და ფორმებს, ეკონომიკის, კულტურის, საზოგადოების მეცნიერულად დასაბუთებულ მართვას.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის ავტომბრძანების მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა წინაშე გამოსვლის დროს ქვეყნის პარტიულ ორგანიზაციებს, შრომითს კოლექტივებს დაუსახა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისი მოქმედების კონკრეტული პროგრამა. აღნიშნული პროგრამის განხორციელების ინტერესები მოითხოვს, რომ თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, თვითეულმა შრომითმა კოლექტივმა განსაზღვროს თავისი ადგილი საყოველთაო სახალხო ბრძოლაში, რომლის მიზანია პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება, **მეათე ხუთწლედის რეალური გადაქცევა ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედად.**

როცა სოციალური ორიენტაციის პრობლემებს მწყვეტენ და მასეის ყურადღებას კონკრეტულ სოციალურ ღირებულებებს მივაპყრობთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ **დისციპლინა** საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე დიდი განძია. საზოგადოებას ისევე სჭირდება დისციპლინა, როგორც სხვა ყველა სოციალური და პოლიტიკური სიკეთე — თავისუფლება, დემოკრატია, წესრიგი და სხვ. ეს ღირებულებები ნამდვილად ხელისაწვდომი, რეალურად გარანტირებული უნდა იყოს საზოგადოების თვითეული წევრისათვის; ყოველი ადამიანი მაქსიმალურად უნდა ებრძოდეს ამ ღირებულებათა დამკვიდრებისათვის.

„პრინციპულად არაერთხელ განგვისაზღვრავს, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ჩვენი შეხედულება დისციპლინის მნიშვნელობასა და დისციპლინის ცნებაზე მუშათა პარტიაში. **მოქმედების ერთიანობა, განხილვიხა და კრიტიკის თავისუფლება,** — აი ჩვენი განსაზღვრება. მხოლოდ ასეთი დისციპლინაა მოწონაგი კლასის დემოკრატიული პარტიის ღირსი. მუშათა კლასის ძალა ორგანიზაციაა. მასების დაურაზმავად პროლეტარიატი არარაა. ორგანიზებული კი იგი ყველაფერია. ორგანიზებულობა არის მოქმედების ერთიანობა, პრაქტიკული გამოსვლის ერთიანობა“. დისციპლინის განმტკიცების პრობლემებისადმი კლასობრივი, პარტიული, მეცნიერული მიდგომის ინტერესები მოითხოვს, რომ სისტემატურად სრულყოფილ ჩვენი მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები.

შემთხვევითი არ არის, რომ დღეს რუსთავში, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ქალაქში, მგზნებარე პატრიოტებისა და ინტერნაციონალისტების ქალაქში, საქართველოს მუშათა კლასის სახელოვანი რაზმის — მეტალურგებისა და ქიმიკოსების ქალაქში ცხოვრების საგზურს იღებს ახალი საყოველთაო-სახალხო მოძრაობა, მეათე ხუთწლედში მობილი ახალი თაოსნობა, — ბრძოლა სოციალისტური დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის, ყველგან და ყველაფერში წესრიგის დამკვიდრებისათვის! ეს მასების სოციალური შემოქმედების კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა.

ამას წინათ საუბარი მქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ამხ. ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევთან.

მან გულთბილად მოიგონა ქალაქ რუსთავის მუშათა კლასთან, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშებთან შეხვედრები. მოგახსენებთ, ამხანაგებო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამბ. ლ. ი. ბრეჟნევი პროფესიით მეტალურგია. ის დეტალურად დაინტერესდა, თუ რა პრობლემებს აწყვეტენ ცხოვრებასა და შრომაში ქართველ მეტალურგთა სახელგანთქმული კოლექტივი, მოგვცა საგულისხმო რჩევა-დარიგება. ჩვენ მოვახსენეთ გენერალურ მდივანს, რომ ამ საამსოვრო შეხვედრების შემდეგ რუსთაველ მეტალურგთა კოლექტივი დიდ საწარმოო წარმატებებს აღწევს, რომ ძლიერდება მუშათა ინიციატივა, ქარხანაში შექმნილია ურთიერთმომთხოვნელობის, ორგანიზებულობის, შემოქმედებისა და აღმშენებლობის ატმოსფერი.

დიდი კმაყოფილებით ვასრულებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის დავალებას და თქვენ, სახელოვან რუსთაველ მეტალურგებს, თქვენი სახით კი რესპუბლიკის მთელ მუშათა კლასს გადმოვცემთ ამბ. ლ. ი. ბრეჟნევის მხურვალე სალამს და გისურვებთ წარმატებულ შრომას სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

რუსთავის მუშათა კლასი მეათე ხუთწლედში ახლებურად და ახალი ძალით განაგრძობს მოძრაობას, რომელიც დედაქალაქის დიმიტროვის სახელობის საავიაციო და ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნების შრომითი კოლექტივების, აგრეთვე ქიმბულეთისა და ვორის რაიონების სოფლების — ხუცუბნისა და ტყვავის სახელოვან შრომელთა ინიციატივით დაიწყო მეცხრე ხუთწლედში და აფაროობს მნიშვნელოვანი ინიციატივებისა და თაოსნობათა გეოგრაფიას, პრაქტიკულად აღრმავებს ამ მოძრაობას.

შეიძლება გკითხონ, რაია მაინცდამაინც რუსთაველმა მეტალურგებმა გამოიჩინეს ეს ინიციატივაო? მიზეზი მარტივია.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ბევრ სხვა კოლექტივთან ერთად ყველაზე მკაფიო მაგალითია იმისა, თუ როგორ ასახავს ხორცს კონკრეტული საქმეებით, შრომის კონკრეტული შედეგებით, კონკრეტული პროდუქციით, ეფექტიანობის კონკრეტული მაჩვენებლებით,

(გაგრძელება მე-2 გვ.).

ყოველნაირად განვამტკიცოთ სოციალისტური დისციპლინა სკკპ XXV ყრილობის პოთხოვნათა შესაბამად

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება).

ყველა ის ღონისძიება, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელი წლების მანძილზე ხორციელდებოდა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად.

თქვენს ქარხანაში, ისევე როგორც სახალხო მეურნეობის ბევრ სხვა ობიექტზე, ეს ღონისძიებები გამოიკვეთა კონკრეტული საქმეებით, კონკრეტული პროდუქციით, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესებით, რომელიც მუშათა კლასსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს აღფრთოვანებს შემოქმედებითი შრომისათვის, გმირობისა და შემართებისათვის.

ქარხანა სწრაფად დაწინაურდა. არადა, ხელმძღვანელობა წინანდელია, მუშების, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კონტინგენტი, ძირითადად იგივეა, რაც რამდენიმე წლის წინათ იყო, მაგრამ საქმეები კი ახალია. ხალხს ველარ იცნობთ, იგივე ადამიანები სასწაულებს ახდენენ, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სასწაულები არ ხდება. მუშობის საკავშირო ორგანიზაციამ, დისციპლინის განმტკიცებამ და ჩვენს ცხოვრებაში მომხდარმა სხვა პოზიტიურმა ძვრებმა უზრუნველყო ეს წარმატება.

შეიძლება გვკითხონ: აბა რით განსხვავდება რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობა თბილისის საავიაციო და ელმავალსაშენებელი ქარხნების მუშათა თაოსნობისაგან?

მართალია რუსთაველთა თაოსნობა ჩვენს რესპუბლიკაში დისციპლინის განმტკიცების იმ ერთიანი დიალექტიკური პროცესის ლოგიკური განგრძობაა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა მეცხრე ხუთწლედში რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების საყოველთაოდ ცნობილი მოძრაობით, მაგრამ **მეათე ხუთწლედში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისთვის** ბრძოლა კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს და გაფართოვდეს! ეს ერთი.

მეორე, რუსთაველთა თაოსნობა სხვა კონკრეტულ სიტუაციაში იშვა — სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, საქართველოს პარტორგანიზაციის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების განხორციელებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლის პირობებში.

ყოველივე ამას აქვს არსებითი მნიშვნელობა.

თბილისის შრომითი კოლექტივების თაოსნობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებისათვის ორგორც ორგანიზაციული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით; მას ვახორციელებდით აღნიშნული დადგენილების მიღებისთანავე, იმ ნეგატიური მოვლენების დაძლევისათვის მწვავე ბრძოლის პირობებში, რომლებიც რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის ცალკეული ელემენტების გამოვლინებათა შედეგად გაჩნდა... **დისციპლინის განმტკიცებისა თვის მოძრაობის პირველ ეტაპზე** უპირატესად გვიხდებოდა **ელემენტარული წესრიგის დამყარება ყველგან და ყველაფერში, დისციპლინის ელემენტარული საფუძვლების განმტკიცება.** სწორედ ამიტომ იყო, რომ ამ პერიოდში ვეღარ გავწვდით სოციალური ცხოვრების სიღრმულ ფენებს, რადგან ძირითადად ვკრიდით პრობლემებს, რომლებიც ზედაპირზე იყო და ერთბაშად გვხვდებოდა თვალში.

ახლა სხვა პირობებია. როგორც საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებაში აღნიშნული, უკვე დიდი მუშაობაა გაწეული პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად.

სკკპ XXV ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ მკაფიო პროგრამა დასახეს სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების საქმეშიც. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისს დადგენილება კიდევ უფრო აკონკრეტებს ამ პროგრამას, ამიტომ რესპუბლიკაში დისციპლინისათვის ბრძოლის მეორე ეტაპზე თვისებრივად იცვლება საქმის არსი.

ახლა სხვა პირობებია, ახლა პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, მორალური თვალსაზრისით უკეთესად ვართ მომზადებული დისციპლინის განსამტკიცებლად მუშაობის გაღრმავებისათვის. ამჟამად ჩვენი საერთო მიდგომა, სოციალურ-ეკონომიურ და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოკვეთილი საერთო ტენდენციები საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად ჩავწვდეთ პრობლემის არსს, დისციპლინის განმტკიცების თვალსაზრისით შევეხოთ იმ სფეროებსაც, რომლებსაც პირველ ეტაპზე ვერ მიეწვდით.

თუ წინათ ზოგიერთი კოლექტივის ხელმძღვანელი, ან ცალკეული პირი გარეშე მეთვალყურის როლში გამოდიოდა და არა დისციპლინისათვის, ყველაზე აქტიური მებრძოლის როლში, ახლა სურათი არსებითად უნდა შეიცვალოს: ამხანაგებმა, რომლებიც განზე გაუდგნენ დისციპლინის განმტკიცების საქმეს, ახლა აქტიური პოზიცია უნდა დაიკავონ.

ახლო წარსულში მეტს ვმუშაობდით ხელმძღვანელობის უმაღლესი და საშუალო რგოლის კადრებთან დისციპლინის განმტკიცებისათვის, საჭიროა ასეთი მიდგომა შევინარჩუნოთ, ოღონდ უფრო განვავითაროთ იგი, ყურადღებიდან არ უნდა გამოგვრჩეს არცერთი მუშა, კოლმეურნე, მოსამსახურე, საზოგადოება არც ერთი წევრი.

როცა დისციპლინაზე ვლაპარაკობთ, ამ სიტყვას ყველაზე ფართო გაგებით ვგულისხმობთ. ეს არის დისციპლინის განმტკიცება ყველგან და ყველაფერში. ეს ეხება ყველას და თვითეულს.

თაოსნობის გამორენა დიდი პატივია და დიდი პასუხისმგებლობაც. ისეთი კოლექტივის თაოსნობას, რომელსაც დიდი საზოგადოებრივი ავტორიტეტი არა აქვს, ჯერთვნად არ გამოეხმაურებინან, და იგი შეიძლება ჩანასახშივე ჩაკვდეს. ჩვენ ბევრი ასეთი მაგალითი გვაქვს. რუსთაველ მეტალურგთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მარტო სურვილი კი არა აქვთ, არამედ სრული მორალური უფლებაც — იყენენ სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის მოძრაობის ინიციატორები.

რას ვგულისხმობთ კონკრეტულად?

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ პლენუმზე აღინიშნა, რუსთაველის მეტალურგიული ქარხანა 1972 წელს, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ დადგენილების მიღების წელს, ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი საწარმო იყო. ქარხანამ მეცხრე ხუთწლედი მუშაობაში დიდი შეფერხებებითა და ხარვეზებით დაიწყო: ქვეყანამ დიდძალი თუჯი, ფოლადი, მზა ნაგლინი და მილები ვერ მიიღო. მარტო 1972 წელს სახელმწიფოს დააკლდა 14 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ქარხანაში მკვეთრად დაეცა შრომისა და საწარმოო დისციპლინა, 26 პროცენტამდე გაიზარდა კადრების დენადობა. ყოველი მეოთხე მუშა წარმოებიდან მიდიოდა.

მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი „რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საწარმოო საქმიანობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტმა, ქარხნის დირექციამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ეფექტიანი ღონისძიებები განახორციელეს.

მეცხრე ხუთწლედის დამლევს რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს და პირადად მინისტრის ამხ. ი. პ. კაზანეცის კონკრეტული დარიგების მეოხებით მოწინავე პოზიციები დაიკავა. თვისებრივი ძვრები მოხდა კოლექტივის ცხოვრების ყველა რგოლში. 1974 წლიდან დაწყებული ქარხანა ზედიზედ მეცხრე კვარტალია იმარჯვებს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ყოველივე ეს წესრიგის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცების რეალური შედეგებია.

მთავარი გახდა არა წარმატების მიღწევა ერთ უბანზე მეორის ხარჯზე, არა დავალებათა შესრულება ძალების მეტისმეტი დაძაბვის ჯაზით, არამედ წარმოების ჰარმონიული, შეწონასწორებული განვითარების ბაზაზე, ყველა რგოლში პარტიული, სახელმწიფო, შრომის, საწარმოო, საგეგმო, ტექნოლოგიური, საფინანსო, სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცების საფუძველზე.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქარხნის კოლექტივში **პარტიული დისციპლინის** განმტკიცებას, პარტიული ბირთვის შეკავშირებას, ამ საქმისათვის ყველა კომუნისტის დარაზმვას. პარტიულმა კომიტეტმა განახორციელა ღონისძიებები აქტიურ პარტიულ ცხოვრებაში ყველა კომუნისტის ჩაბმისათვის. თუ ადრე კომუნისტთა დაახლოებით მეხუთედს არ ჰქონდა პარტიული დავალებები, ახლა პარტიული დავალებები პრაქტიკულად ყველა კომუნისტს აქვს, გადაისინჯა და გარდაიქმნა პარტჯგუფების სტრუქტურა — ისინი გამსხვილდა, განმტკიცდა ორგანიზაციულად, პარტიული ორგანიზაცია შინაპარტიული დემოკრატიის ვაფართოებისა და ამავე დროს თვითეული კომუნისტისადმი მომთხოვნელობის გაძლიერების გზას დაადგა. მისი ცხოვრების ნორმა გახდა კომუნისტების, ხელმძღვანელების სისტემატური ანგარიშგება კოლექტივის წინაშე, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების რეგულარული შემოწმება, უმნიშვნელოვანესი საკითხების კოლექტიური განხილვა და გადაწყვეტა.

ყოველივე ამან ძირეულად აამაღლა პარტიულ გადაწყვეტილებათა ეფექტიანობა.

თავისთავად არ მოსულა თქვენი კოლექტივის წარმატებები, რომლებთაც ყველანი ვამაყობთ. ეს წარმატებები რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშათა ათიათასიანი კოლექტივის ბეჯითი შრომის შედეგია, რომლის ავანგარდში 1.900 კომუნისტი დგას.

ქარხნის კომუნისტები მაღალწაყოფიერი შრომისა და შეგნებული დისციპლინის ნიმუშებს გვიჩვენებენ, მათ შორის არიან: მეფოლადეები გოდერძი ფანჩვიძე, პეტრე პამკენი, ორდე ცირამუა, საგლინავი საამქროს უფროსი ოპერატორები ლევან ავამიანი, არჩილ გზირიშვილი, ბრძმედის უფროსი მექურეები უშანგ და ავთანდილ ლომიძეები, მილსაგლინავი საამქროს უფროსი მგალობლიანი, ნიკოლოზ გუბა და ბევრი სხვა.

რუსთაველ მეტალურგებს, რომლებიც უკრაინელ, აზერბაიჯანელ და ლიპეცკელ მეტალურგებს ეჯიბრებიან, თავიანთი წვლილი შეაქვთ მეათე ხუთწლედის — ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედის ვადამდე დამთავრების საქმეში.

სტატისტიკა დიდ პოლიტიკურ აზრს შეიცავს. იგი თავისი ძუნწი ციფრებით ასახავს მუშათა კლასის **სულიერ** სიმდიდრეს.

როცა სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის შესახებდადგენილებდა, № 2 მარტენის საამქროს მეფოლადემ, სკკპ XXV ყრილობის დელეგატმა ოთარ ლომიძემ გამოიჩინა ინიციატივა — გამოვიცადოთ 1976 წელი მუშაობის ხარისხმბრივ მაჩვენებელთა გაუმჯობესების წლად, გამოვუშვათ ყველა ნაგლინი გრაფიკის მიხედვით, უზრუნველვყოთ 100 პროცენტით შეკვეთების შესრულება და აღვნიშნოთ მეათე ხუთწლედის პირველი წელი დამკვრელური შრომით სკკპ XXV ყრილობის ვადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ეს ინიციატივა ქარხნის პარტკომმა მოიწონა და პარტიულ ორგანიზაციებს ურჩია მხარი დაეჭირათ და გაევრცელებინათ იგი.

ო. ლომიძის ინიციატივის ფართო მხარდაჭერამ შესაძლებელი გახადა მეათე ხუთწლედის პირველი წლის ექვსი თვის გეგმის ვადამდე დამთავრება, სოციალისტურ ვალდებულებათა ყველა მაჩვენებელის შესრულება, ხელი შეუწყო შეკვეთების 100 პროცენტით რეალიზაციას.

ასე ჩქეფს ხალხის წიაღიდან ინიციატივის უშრეტი წყარო, მჭვირვეტყველური ციფრების, პროცენტების, ფაქტების წყარო.

დისციპლინა, თაოსნობა და ინიციატივა — ყველაფერი ეს ამშვენებს ჩვენს თანამედროვეს, ახალი ცხოვრების მშენებელს. წარმოების მოწინავენი, ნოვატორები, შრომის გმირები, რაციონალიზატორები, გამომგონებლები — ესენი დიდი კულტურის, დისციპლინის, შეგნების უმაღლესი ეტალონის ადამიანები არიან.

როგორც წარმოებაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაშე, თავდადებული და კეთილსინდისიერი შრომისათვის რუსთაველ მეტალურგებს დამსახურებული ავტორიტეტი აქვთ, ქალაქის მშრომელები მათ დიდ ნდობას უცხადებენ. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულია მეფოლადე ვლადიმერ მეტრეველი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად — მგლინავი ემელიანე კურტანიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებად არჩეულნი არიან მეფოლადე ოთარ ლომიძე და ქარხნის დირექტორი ოთარ სულაძე. ოთხი დელეგატიდან, რომლებიც სკკპ XXV ყრილობაზე ქალაქ რუსთავს წარმოადგენდნენ, ორი მეტალურგიული ქარხნიდან იყო.

დისციპლინის საფუძველზე იქმნება ის მაღლიანი ატმოსფერო, რომელშიც კეთილნაყოფიერად ვითარდება ინიციატივა და შემოქმედება, იქნება ნიადაგი, რომლის საღრმიდან უშრეტ წყაროდ ამოჩქეფს მახვილი ინიციატივა და შემოქმედება.

მეცხრე ხუთწლედის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში, ორგორც ცნობილია, მშრომელთა ბევრი პატრიოტული თაოსნობა იშვა.

ფართოდ გავრცელდა მოსკოვის „დინამოს“ ქარხნის, სვერდლოვსკისა და სარატოვის პარტიული ორგანიზაციების თაოსნობა. მრავალდაზოსნების, ნოვატორების ნ. ხლობინისა და გ. კურტანიძის, ბათუმელი მანქანათმშენებლებისა და ქუთაისელი ავტომობილმშენებლების და სხვების მუშაობის გამოცდილება. ქარხნისა და ქალაქის მშრომელები საყურადღებო ინიციატივათა დანერგვასთან ერთად თვით იყენენ ბევრი ახალი თაოსნობის წამომწყებნი — „ყოველი დღე — დამკვრელური“, „თუთდღიური — ოთხ დღეში“, „დღეგანდელი მოწინავის მიჯნა — ხვალ თვითეულის მიჯნად უნდა იქცეს“, „თვითეული ინჟინერი და ტექნიკოსი — რაციონალიზატორია“ და სხვ.

ქალაქის მშრომელთა თითქმის ნახევარმა ამჟამად აქტიურად დაუჭირა მხარი წარმოების მოწინავეთა შრომითს თაოსნობებსა და პატრიოტულ წამოწყებებს.

მეტალურგიულ ქარხანაში სვერდლოვსკელთა გამოცდილების მიხედვით მუშაობამ შესაძლებელი გახადა საწარმოს სიმძლავრე გაეადიდებინათ 3 მილიონი მანეთით, შეემცირებინათ გეგმიური ზარალი 2,6 მილიონი მანეთით.

ლვოვის პარტიული ორგანიზაციის მაგალითისამებრ მეტალურგიულ ქარხანაში შეიმუშავეს და დანერგეს პროდუქციის ხარისხის მართვის მწყობრი სისტემა.

ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი აღფრთოვანებით გამოეხმაურა თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის ნოვატორის ამხ. კურტანიძის ბრიგადის საყურადღებო ინიციატივას არსებულ საწარმოო ფართობებზე პროდუქციის გამოშვების მნიშვნელოვანი გადიდების, მისი თვითღირებულების შემცირებისა და თვითეულ სამუშაო ადგილზე ყველი ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესების შესახებ.

მოხარული ვართ, რომ მეტალურგიულ ქარხანაში ამხ. კურტანიძის თაოსნობას მხარს უჭერს 30 ბრიგადა, 600-ზე მეტი კაცი.

რუსთაველები შემოქმედებითად ბაძავენ ყოველივე მნიშვნელოვანს, რაც თბილისს მუშათა კლასის შრომითს არსებულა.

სკკპ XXV ყრილობისათვის მზადების პერიოდში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში იშვა ახალი პატრიოტული თაოსნობა, რომ თვითეული საწარმოს თვითეული რგოლი გადაიქცეს წარმოების მაღალი კულტურისა და სანმუშო დისციპლინის უბნად, რომლის ინიციატორები არიან დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, სსრ კავშირის 50-ე წლისთვის სახელობის საწარმოო გაერთიანებისა და ივეკის კომბინატ „განთიადის“ მოწინავე კოლექტივები.

ეს მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელიც მოიწონა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ — მუშათა, ინჟინერთა, ეკონომისტთა შემოქმედებითი თანამგზგრობის შედეგია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ნაყოფიერი საქმიანობის მაჩვენებელია. ამ თაოსნობის ფართოდ დაუჭერეს მხარი ქალაქ თბილისში და ამჟამად მეტი წილი საწარმოები იყენებენ მას. ახალ ინიციატივაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, აკუმულირებულია ყოველივე საუკეთესო, პროგრესული, რაც უკანასკნელ წლებში შეძენილია კომუნისტური შრომისა და სოციალისტური შეჯიბრებისათვის მძიმრაობაში, და ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ინდუსტრიის ხვალინდელი დღისათვის.

ინიციატივამ დევიზით: „საწარმოს თვითეულ რგოლს — წარმოების მაღალი კულტურა და სანმუშო დისციპლინა!“ გამოაცოცხლა წარმოების ყველა უბანი, გულგრილი არ დატოვა შრომითი კოლექტივის არცერთი წევრი. ეს წამოწყება ფართო გავრცელების ღირსია.

ცენტრალური კომიტეტი ყურადღებით ადევნებს თვალს ყოველი თაოსნობის განვითარებას.

ჩვენ ვიცით, რომ ქალაქ რუსთავის მეტალურგებმა აწონ-დაწონეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, ვალდებულება იკისრეს მარტენის ღუმელების ქვედის თვითეულ კვადრატულ მეტრზე ფოლადის ანარეცის გადიდების, ბრძმედების გამოყენების კოეფიციენტის გაუმჯობესებისა, ცხელ საათში საგლინავი დაზგების მწარმოებლობის ამაღლების გზით მეათე ხუთწლედის დამლევამდე გაადიდონ ფოლადის წარმოება 5,5 პროცენტით, თუჯისა — 10 პროცენტით, მზა ნაგლინისა — 20 და მილებისა — 12,7 პროცენტით. 1976 წლის პირველ ნახევარში გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია: 3311 ტონა თუჯი, 11365 ტონა ფოლადი, 2282 ტონა მილები. ეს ჩინებულია! ბარაქალა თქვენს მარჯვენას!

მუშათა კლასის შემოქმედების მატიანე მდიდარია ფაქტებითა და სახელებით.

წარმოების მოწინავენი მტკიცე დისციპლინიანობას განასახიერებენ.

უკანასკნელი წლების მანძილზე რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში შეიმუშავეს **საგეგმო დისციპლინის** ამაღლების მწყობრი სისტემა. განისაზღვრა საგეგმოეკონომიური და საწარმოო-საღისპეტერო განყოფილებების მუშაობის დეტალური მოფიქრებული, მწყობრი ორგანიზაცია. გაუმჯობესდა წარმოების პერსპექტიული დაგეგმვა, ყველა იმ ქვეგანაყოფისა და სამსახურის მუშაობის ყოფილდანაკი, რომლებიც დასაქმებული არიან წარმოების უზრუნველყოფაზე, ამაღლდა საგეგმო ორგანოების მიერ საამქროების, განყოფილებებისა და სამსახურების კონტროლისა და მეთოდიკური ხელმძღვანელობის დონე.

ეს კარგ შედეგებს იძლევა. მთლიანად და გადაჭარბებით სრულდება საეგმო დავალებები და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები.

პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით განხორციელდა **შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის** გაუმჯობესების გადამწყვეტი ღონისძიებები. შეიქმნა ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვის შემოწმების კომისიები, გადაისინჯა ყველა პროცესის ტექნოლოგიური ინსტრუქციები. ჩაშორჩენილთა მიმართ უფრო სწორად დაიწყეს მორალური და მატერიალური ზემოქმედების ფორმების გამოყენება. ამავე დროს ფართოდ ახალისებენ ამ მუშაკებს, რომლებიც პატიოსნად ასრულებენ თავიანთ შრომითს მოვალეობებს.

ყოველივე ამის შედეგად თითქმის ორჯერ და მეტად შემცირდა ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, ათჯერ და მეტად შემცირდა გამცლენთა რიცხვი.

უფრო უკეთ წყდება **საწარმოო დისციპლინის** საკითხები. მათს გადასაწყვეტად ქარხნის ადმინისტრაციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი მუშაობა გასწიეს სარემონტო-მექანიკური სამსახურების განმტკიცებისათვის, ნედლეულითა და მასალებით საამქროების დროული უზრუნველყოფისათვის, წარმოების ცალკეული საამქროებისა და უბნების რეკონსტრუქციისათვის.

დიდმნიშვნელოვანი ძვრები ლაისახა **საფინანსო დისციპლინის** განმტკიცების დარგში. მთელან ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ საწარმო გეგმით ზარალიანდან გეგმით მომგებიან საწარმოთა რიგებში ჩადგა.

ქარხანაში დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლა ზენორმატიული ნაშთების ლიკვიდაციისათვის, გადასინჯეს და გაუმჯობესეს შრომის ორგანიზაცია რკინგზის ტრანსპორტის დაცლის დროს, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა არამწარმოებლური ხარჯები, რომლებიც წინათ ეგონებოდა მოცდენს იწვევდა. ყველგან დაინერგა მომჭირნეობისა და ყაირათიანობის მკაცრი რეჟიმი პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების კონტროლით. ამაღლდა საამქროების, ბრიგადებისა და უბნების პასუხისმგებლობა პროდუქციის ხარისხისათვის, ურთიერთვალდებულებათა ზუსტად დაცვისათვის.

მეათე ხუთწლედში დაისახა და უკვე ხორციელდება ნორვეგიელთან მეთოდით ძირითადი საამქროების რეკონსტრუქციის, ინახლებისა და გაფართოების მნიშვნელოვანი სამუშაოები ქარხნის დაძმარე სამსახურის გათვალისწინებით.

რეკონსტრუქციის ხელმძღვანელობისათვის ქარხანაში შეიქმნა შტაბი, რომელსაც მეთაურობს ქარხნის დირექტორი ამხ. ო. ნ. სულაძე.

რეკონსტრუქციის სამუშაოთა, ისევე დასახული სხვა სამეცნიერო ნამუშევრების განხორციელება ქარხანას შესაძლებლობას მისცემს მეათე ხუთწლედის დამლევისათვის 30 მილიონი მანეთით გაადიდოს მთლიანი პროდუქციის მოცულობა. **ქარხანა პირველად გახდება სტაბილურად რენტაბელური საწარმო.** მეათე ხუთწლედის დამლევისათვის მოგება წელიწადში 20-25 მილიონ მანეთს მიაღწევს.

გაუმჯობესდა ერთ მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯების მაჩვენებლები. თუ 1975 წელს ერთ მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯებმა 101,50 კაპიკი შეადგინა, ესე იგი დაბინდება ამონაგებს აღემატებოდა, მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში ეითარება გაუმჯობესდა. ერთ მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე ფაქტიურმა დანახარჯებმა შეადგინა 96,96 კაპიკი. გაუმჯობესდა ფონდუკუგების, მოგების, შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლებიც, მნიშვნელოვნად შემცირდა წუნით გამოშვეული დანაკარგები, შემცირდა აგრეთვე ძალიანი პროდუქციის თვითღირებულება.

მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშათა წინაშე გამოსვლის დროს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმი უნდა დავიცვათო. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას ჩვენ წინაშე საქართველოს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების თვალსაზრისით.

თუ მეცხრე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში 22 მილიონი მანეთის ნედლეული, მასალები, ენერგორესურსები გადაიხარჯა, ბოლო ორი წლის მანძილზე 8,7 მილიონი მანეთი დაზოგა. მაგრამ ეს ზღვარი არ არის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებაში განსაკუთრებით არის ხაზგასმული, რომ **მეათე ხუთწლედი ეს არის ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედი.** ეს მარტო ეკონომიური კატეგორიები კი არა, პოლიტიკური ცნებებიც არის. არა მარტო საზოგადოებაში შექმნილ მატერიალურ და სულიერ კეთილდღეობისა, არამედ მთელი ცხოვრების ეფექტიანობისა და ხარისხის მაღალი კოეფიციენტი— ეი კრიტერიუმები, რომლებითაც იზომება დღეს ამა თუ იმ პარტიული ორგანიზაციის, ამა თუ იმ კომუნისტისა და მოქალაქის პოლიტიკური სიმწიფე.

პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტს, ქარხნის დირექციას და პარტიულ ორგანიზაციას ესმით, რომ ხარისხი და ეფექტიანობა განუყრელად არის დაკავშირებული პარტიული, სახელმწიფო, შრომის, საწარმოო, ტექნოლოგიური, სახელშეკრულებო, საფინანსო დისციპლინის განმტკიცებისთან.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ქარხნის კოლექტივი, რომელსაც აღფრთოვანებს სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილება, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილება, ლიხაჩოვის სახელობის ქარხნის შრომითი კოლექტივის წინაშე სკკპ ცენტრალურ კომიტეტს გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა, თავადადებით იბრძვის წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის. ხუთწლედის დამლევისათვის ქარხანა მთელი პროდუქციის 35-40 პროცენტს ხარისხის ნიშნით გამოუშვებს.

ხარისხის პრობლემა საკითხთა საკითხია. ხარისხისნიშნიანი ყოველი ერთეული პროდუქცია მუშათა, ინჟინერთა, კონსტრუქტორთა, მრავალათასიანი კოლექტივის ისობით პროფესიის ადამიანთა გულმოდგინე შრომის შედეგია; მათი ორგანიზებული, რიტმული, ჰარმონიული შრომა შეიძლება მხოლოდ შეგნებული და მკაცრი დისციპლინისა და წესრიგის პირობებში.

ახლო წარსულში რუსთავის მეტალურგიული ქარხანა დაეგეგმვაში შეცდომებისა და საამქროებისა და უბნების პასუხისმგებლობის არასაკმარისი პასუხისმგებლობის გამო ხშირად აღოდვედა ხოლმე სხვადასხვა საწარმოსა და ორგანიზაციასთან — მათ შორის ქვეყნის სხვა რესპუბლიკებისა და ქალაქების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან დადებულ სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ამისათვის, რომ ბოლო მოღებოდა ამ მანკიერ პრაქტიკას, განხორციელდა ბევრი გადამწყვეტი ღონისძიება შრომის ორგანიზაციის გასუმჯობესებლად, მასალების, ნედლეულისა და სათბობის ხარჯვისადმი კონტროლის გასაძლიერებლად. **სახელშეკრულებო დისციპლინის** განმტკიცებისათვის მუშაობაში აქტიურად ჩაება პარტორგანიზაცია, რომელმაც გააჩაღა ახსნა-განმარტებითი მუშაობა ქარხნის კომუნისტთა, მშრომელთა შორის, ძირითადად ყურადღება დაუთმო შობსმარებელთან დადებული ხელშეკრულებების შესრულების მნიშვნელობას, როგორც საბჭოთა ადამიანების ინტერნაციონალური, პატრიოტული მოვალეობის შესრულების შემადგენელ ნაწილს.

თუ ქარხნის დიდი სოციალურ-პოლიტიკური მექანიზმი, თუ მთელი მისი ეკონომიური, ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემა არ იმუშავებენ ზუსტი საათის მექანიზმივით, თუ თუნდაც ერთი რომელიმე რგოლი ამოვარდება საერთო ანსამბლიდან, მაშინ ნაბარაკიც კი ზედმეტია ხარისხსა და ეფექტიანობაზე. დისციპლინისა და წესრიგის დონე მატერიალიზებულია თქვენი პროდუქციით, მისი ხარისხით და რაოდენობით, მისი თვითღირებულებით.

თვალი გადავაგლოთ თქვენი ქარხნის ეკონომიური კავშირურთიერთობის გეოგრაფიას. იგი ვრცელი და მდიდარია. თქვენი ქარხნის პროდუქცია იგზავნება ყველა ჩვენს მოკავშირე რესპუბლიკაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბულგარეთში, რუმინეთში, კუბაში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, პოლონეთში, კორეაში, აეროდანეთში, ირანში, ეროაყში, თურქეთში, მალში, სირიაში, ალჟირში, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკასა და სხვა სახელმწიფოებში.

ვთქვათ თქვენ ჩაშალეთ ხარისხისა და ეფექტიანობის პროგრამა. ეს მარტო თქვენს ქარხანაზე კი არ მოახდენს გავლენას: ეს შეიძლება იგრძნონ ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, ყველა სოციალისტურ ქვეყანაში, ნსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

გვეპატიება თუ არა ასეთი პირობებში ხარისხისა და ეფექტიანობის დავალებათა ჩაშლა? შეიძლება თუ არა შევუთიგდეთ საწარმოო, ტექნოლოგიური თუ სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევას?

ცხადია, დისციპლინის განმტკიცება მარტო შიდასაქარხნო საქმე არ არის. იგი მოიხს სცილდება ქარხნისა და სამრეწველო დარგის, რესპუბლიკისა და ქვეყნის ფარგლებს.

ეს მარტო ქარხნისა კი არა, მთელი რესპუბლიკის ღირსების საქმეა.

დისციპლინის განმტკიცება ჩვენი პატრიოტული და ინტერნაციონალური ვალია, ესე ვლინდება სამეურნეო და ორგანიზაციულ პრობლემათა პოლიტიკური ასპექტები.

ანდა ავიღოთ თუნდაც ეკონომიური უკუკავშირის საკითხი.

თქვენი შრომითი კოლექტივი უაღრესად დაინტერესებულია დისციპლინის განმტკიცებით არა მარტო თავის ქარხანაში, არამედ ქვეყნის ბევრ სხვა საწარმოშიც. საქმე ის არის, რომ თქვენი ქარხანა, რომელიც მონაწილეობს შრომის საკავშირო განაწილების პროცესში, პროდუქციის, ნედლეულსა და ა. შ. ბევრი მოკავშირე რესპუბლიკიდან და ქვეყნის ოღქიდან, უჭირავს ყოვლისა, საბჭოთა რუსეთიდან, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის მომე რესპუბლიკებიდან ღიებს.

ესოდენი განვითარებული ეკონომიური სისტემის ფრაგი საფუძველი უნდა იყოს სოციალისტური დისციპლინა.

სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევამ, თუნდაც ერთ რეგიონში, შეიძლება საგრძნობი ზარალი მიაყენოს წარმოებას და ქარხნის ეკონომიკას. ეი რატომ არის დაინტერესებული თქვენი ქარხნის შრომითი კოლექტივი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ქარხნის კოლექტივი, რომ ქვეყნის ყველა ქარხანა ეფექტიანად და კარგად მუშაობდეს, მტკიცდებოდეს სოციალისტური დისციპლინა არა მარტო მისი ქარხნის, არამედ უფრო ფართო მასშტაბითაც.

დიდი ამა თუ იმ შრომითი კოლექტივისა და პარტიული ორგანიზაციის პასუხისმგებლობა დისციპლინის მდგომარეობისთვის არა მარტო თავისი შრომითი კოლექტივის, არამედ მთელი მუშათა კლასის

ყოველნაირად განვამტკიცოთ სოციალისტური დისციპლინა სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად

(გაგრძელება)

უმნიშვნელოვანესი რეზერვია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. თუ სამუდამოდ მოვუღებთ ბოლოს წუნს, მაშინ ეს წელიწადში თითქმის მილიონ მანეთს დაგიზოგავთ.

ლიხაჩოველთა წინაშე გამოსვლისას ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა სერიოზული ყურადღება მიაქცია დისციპლინის პრობლემებს. კერძოდ, მან თქვა: „თქვენც, ეს ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ზშირად გაქვთ გაცდენებიც, წუნიც, მუშაობაში სხვა ხარვეზებიც. არის მოწყობილობის მოცდენის ფაქტებიც. ეს იმას ნიშნავს, რომ კვლავაც უნდა გავაუმჯობესოთ წარმოების ორგანიზაცია და მართვა, ავამაღლოთ საწარმოო დისციპლინა“.

ამ ამოცანას დღეს ქვეყნის ყველა შრომითი კოლექტივი წყვეტს. მას წყვეტენ რუსთაველი მეტალურგებიც. მაგრამ საბოლოოდ იგი ჯერ კიდევ მთლიანად როდია გადაწყვეტილი.

ნება მიბოძეთ ჩავხედო სტატისტიკის სარკეს. თქვენს ქარხანაში კადრების დენადობის მდგომარეობა, შრომის დისციპლინის დარღვევა, უწესრიგო შვებულებები და მოცდენების შედეგად დაკარგული კაც-დღეები სასურველ სურათს როდი გვიხატავენ. თუ 1972 წელს თქვენს ქარხანაში სამუშაოზე მიღებული იყო 2.627 კაცი, დათხოვილი კი 3 ათასზე მეტი, სამაგიეროდ 1975 წელს მიღებულია 1.979 კაცი, ხოლო დათხოვილია — 2.128 კაცი. ამ ნეგატიური მაჩვენებლის შემცირების ტენდენცია აშკარაა, მაგრამ მდგომარეობა ჯერ კიდევ სრულიადაც არ გამხდარა სტაბილური.

საქმის ამგვარი მდგომარეობა შეუთავსებელია სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნებთან, საქართველოს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებასთან.

შრომითი კოლექტივი რთული სოციალური და პოლიტიკური ორგანიზმია. ურთიერთგაგების, კომუნიკაბელობას კოლექტივის შიგნით, მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს ბევრად განსაზღვრავს ადამიანებისადმი სწორი დამოკიდებულება, ის, თუ როგორ ესმით ერთმანეთის ხელმძღვანელებსა და ხელქვეითებს. მათი ურთიერთობა ჩვენი ცხოვრების თითქმის გამოუკვლეველი დარგია. ახლახან სოციოლოგებმა ამ მხრივ გაანალიზეს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის შრომითი კოლექტივის ცხოვრება.

რუსთაველი მეტალურგები კმაყოფილი არიან ადამიანთა შორის ურთიერთობით შრომითი კოლექტივის ფარგლებში. ბრიგადირებსა და ოსტატებს, საამქროებსა და საწარმოს ადმინისტრაციის ურთიერთობას მუშებთან მაღალ შეფასებას ვძლევს მუშათა და ინჟენერ-ტექნიკურ მუშაკთა დიდი უმრავლესობა. ეს არის მტკიცე დისციპლინის ერთ-ერთი საფუძველი. თითქმის ყველა კმაყოფილია თავისი შრომით. მეტალურგებს ეამაყებათ თავიანთი პროფესია.

სასიხარულოა, რომ მუშათა ადამიანების 75 პროცენტს სწამს, რომ მათი კოლექტივი ერთსულოვანი და შეკავშირებულია. ეს ხელს უწყობს დისციპლინის განმტკიცებას. მაგრამ არც ის ფაქტი უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ კოლექტივის ყოველი მეოთხე წევრი საწინააღმდეგო აზრისაა. მაშასადამე, ამოცანა ის არის, რომ თქვენი შრომითი კოლექტივი კიდევ უფრო შეკავშირებული და ერთსულოვანი გახადოთ.

ბევრი შუშისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის აზრით, ქარხანაში აშკარად დამაკმაყოფილებლად არ ხორციელდება საწარმოს მართვაში, უმნიშვნელოვანესი საწარმოო-სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში მუშათა ფართოდ ჩაბმის ღონისძიებები. თუ აღნიშნული პრობლემები არ გადაწყდა, დისციპლინა ვერ განმტკიცდება, მასების პოლიტიკური აქტივობა ვერ ამაღლდება.

ყოველნაირად უნდა გავაუმჯობესოთ შრომის მეცნიერული ორგანიზაცია. ეს ხელს უწყობს დისციპლინის განმტკიცებას. ამასთან, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა თითქმის ნახევარი უკმაყოფილებას გამოთქვამს მეტალურგიულ ქარხანაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მდგომარეობის გამო.

მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები ილაშქრებენ პირველი საჭირიების საქონლით მშრომელთა მომარაგებაში შეფერხებების წინააღმდეგ. ეს დიდი პრობლემაა.

სწორად მოიქცა ქარხნის ადმინისტრაცია, როცა გადაწყვიტა გამოეშვა ფართო მოხმარების საქონელი. ეს ერთხელ კიდევ მაფიფილ მოწმობს, რომ მათ სწორად ესმით პარტიის პოლიტიკა მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების, მშრომელთა სულ უფრო მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილების დარგში.

ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების საქარხნო პროგრამას მთლიანად უჭერენ მხარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა, ყველა დაინტერესებული რესპუბლიკური ორგანო, და რეალური პირობები შეექმნება მის უოუო განხორციელებას.

ერთი სიტყვით, თქვენს მშრომელ კოლექტივში ბევრი პრობლემაა, სამუშაოც უმრავი გაქვთ.

უნდა დარაზმოთ მთელი ძალები და საშუალებები ამ საკითხების გადასაწყვეტად.

მარტო მეტალურგიული ქარხანა კი არა, ქალაქი რუსთავიც — რესპუბლიკის ეს უდიდესი ინდუსტრიული ცენტრი — მეცხრე ხუთწლედის პირველ წლებში სერიოზულად ჩამორჩებოდა თითქმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

მეცხრე ხუთწლედის პირველი ორი წლის ანალიზმა გვიჩვენა დიდი ნაკლოვანებები ქალაქის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. რუსთავის მრეწველობამ სახელმწიფოს 28 მილიონი მანეთის პროდუქცია დააკლო. მნიშვნელოვან ჩამორჩენას მოწმობს ის, რომ თუ ქალაქის მრეწველობის ზვედრითი წონა საერთო-რესპუბლიკური მასშტაბით 7,4 პროცენტს შეადგენდა, ამ წლების მანძილზე მის მიერ სახელმწიფოსათვის დაკლებული პროდუქციის ნოკლულობამ მთლიანად რესპუბლიკაში გვგმის შეუსრულებლობის 35 პროცენტი შეადგინა. ქალაქის საწარმოთა 40 პროცენტმა ვერ გაართვა თავი სახელმწიფო გეგმებს, მათ შორის მეტალურგიულმა ქარხანამ.

საგეგმო დავალებათა შესრულებას დიდ ზიანს აყენებდა სამუშაო დროის დანაკარგები. მარტო 1972 წელს გაცდენებისა და ადმინისტრაციის ნებართვით გამოუცხადებლობის მიზეზით ქალაქში 120 ათასზე მეტი კაცდღე დაიკარგა, სხვაგვარად, რომ ვთქვათ, რუსთავის მრეწველობას 5 დღე-ღამის განმავლობაში არ უმუშავია და სახელმწიფოს 5 მილიონი მანეთის პროდუქცია დააკლო. მწვავედ იგრძნობოდა მუშახელის ნაკლებობა, სიძნელეები მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, პარტიული, საწარმოო, შრომის დისციპლინის შესუსტება და სხვ.

ეს და ბევრი სხვა ფაქტორი იყო მიზეზი მილიონობით მანეთის ზარალისა. ადგილი ჰქონდა ტექნოლოგიური რეჟიმის ხშირ დარღვევებს, ავარიებს, რასაც მისდევდა მოწყობილობებისა და აგრეგატების ნაადრევად ცვეთა, ზენორმატიული მოცდენის ზრდა.

მთლიანად ქალაქში მუშაობაში გარღვეცხა დაისახა 1973 წლიდან და ყოველწლიურად სულ უფრო საგრძნობი ხდებოდა.

1972 წელთან შედარებით სამჯერ და მეტად შემცირდა სამუშაო დროის დანაკარგები გაცდენებისა და უწესრიგო შვებულებების გამო, და თითქმის რვაჯერ — მთელი დღისა და ცვლის შიდა მოცდენების გამო. მწვავედ იდგა კადრების შენარჩუნების პრობლემა. 1975 წლისათვის კადრების დენადობა 6,5 პროცენტამდე შემცირდა. ეს მაჩვენებელი 1970 წელს 25 პროცენტს უდრიდა. მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებამ და სასიკეთო ცვლილებებმა დადებითი გავლენა მოახდინა კადრების შენარჩუნებაზე, მუშათა დინამიკებზე, მუშ.-თა თაობების ცვლისა და მემკვიდრეობითობის განმტკიცებაზე. საყურადღებოა ის, რომ ბევრი გამოცდილი სპეციალისტი, მათ შორის კადრის მუშებიც, ბოლო დროს არათუ აღარ მიდიან, არამედ, პირიქით, თავიანთ ძველ სამუშაო ადგილებზე ბრუნდებიან ისინიც, ვინც ადრე წავიდა კადრების პოლიტიკაში დაშვებული დიდი ხარვეზების დროს.

დადებითი გარდაქმნები პოზიტიურ გავლენას ახდენს ქალაქის ეკონომიკის განვითარებაზე.

დიდი საწარმოო წარმატებების მიღწევა როგორც რუსთავის მრეწველობის საწარმოებში, ისე აგრეთვე სახალხო მეურნეობის დარგებში, მჭიდროდ არის დაკავშირებული ქალაქის მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან. 1975 წელს 1970 წელთან შედარებით ქალაქის მოსახლეობის ძირითადი შემოსავალი გაიზარდა 19 პროცენტით და მეტად, აქედან ხელფასი — 6,6 პროცენტით. ეს არსებითად, მიღწეული იქნა სამ წელიწადში. პენსიები და დახმარებანი გადიდდა 68 პროცენტით.

ეს და სხვა ამგვარი ძვრები კარგ შედეგებს იძლევა. მტკიცდება დისციპლინა.

დისციპლინის საყოველთაოდ განმტკიცება პარტიული ორგანიზაციების, ყველა მშრომელი კოლექტივის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

ჩვენ უნდა დავიცვათ **დისციპლინის მდგომარეობასთვის კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპი.** ესე იგი თვითეული მშრომელი კოლექტივი, თვითეული პარტორგანიზაცია პასუხს აგებს არა მარტო დისციპლინის საერთო მდგომარეობისათვის, არამედ თვითეული კომუნისტისა და მშრომელის დისციპლინიანობისათვის. ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის. ეს პრინციპი ყველგან და ყველაფერში უნდა ხორციელდებოდეს. დისციპლინიანია არა ის, ვინც მხოლოდ თვითონ იცავს დისციპლინას, არამედ ის, ვინც ეძრძნობს პასუხისმგებლობას მთლიანად კოლექტივში დისციპლინის მდგომარეობისათვის, არ ურიგდება დისციპლინის არავითარ დარღვევას არა მარტო კოლექტივში, არამედ ქუჩაში, საზოგადოებრივ ადგილებში, სამუშაო ადგილზე, საცხოვრებელ ადგილას, ყველგან და ყველაფერში. არ უნდა შევეხებოდთ მხოლოდ საკუთარი კოლექტივის ფარგლებით.

თუ შენს ბრიგადაში, შენს რგოლში, შენს ცვლაში, შენს ქარხანაში, ფაბრიკაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, ერთი სტყვით, შენს მშრომელ კოლექტივში ვინმე არღვევს შრომის, საწარმოო თუ ტექნოლოგიურ დისციპლინას, გეგმას არ ასრულებს, სახელმეკრულებო დისციპლინას ფუშავს, ამისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც გეგმას არ ასრულებს, ვინც დისციპლინას არღვევს, არამედ კოლექტივის თვითეული წევრიც. ასეთია მუშური სინდისის ზმა. ასეთია ჩვენი ცხოვრების კანონი.

ამხანაგებო!

ნახეთ, რამდენი კარგი რამ კეთდება ჩვენს რესპუბლიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, წარმოების რაციონალიზაციის საქმეში, რამდენ კარგ გადაწყვეტილებას ვიღებთ ახალი მეცნიერულ-ტექნიკური ფასეულობების დანერგვისათვის, რამდენი კარგი ღონისძიება მუშავდება, მაგრამ ძალზე ზშირად ყველაფერი ეს ქაღალდზე რჩება, ფასეულობები უმთრთოდ არის, და ასეთი კაპიტალი გინდ გქონია, გინდ არა. ჩვენი მოუქნელობა და უძრაობა, ბიუროკრატიზმი, მუშაობის დრომოჭმული ფორმები და მეთოდები მილიონობით მანეთის ზარალად გვიჯდება.

ჩვენ მტკიცედ და სამუდამოდ უნდა შევეგნოთ უბრალო ჭეშმარიტება, რომ მეცნიერული პროექტების წარმოებაში დაგვიანებით დანერგვა იწვევს, როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ ზარალს და უარყოფითს გავლენას იზდენს ეკონომიკის ეფექტიანობაზე და დაღს ასვამს როგორც სახელმწიფოს ბიუჯეტს, ისე ჩვენი მშრომელების ოჯახების ბიუჯეტსაც, მათს კეთილდღეობას.

თვითეულმა მუშამ, კოლმეურნემ, ინტელიგენტმა ხმა უნდა აღიმაღლოს, როცა სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესები ილახება.

მკაცრად უნდა მოვკითხოთ არა მარტო თვითეულ ხელმძღვანელს, არამედ რიგითს მუშაკებსაც, თუ ისინი თავიანთი უდისციპლინობით, პასიურობით და ა. შ. ზიანს აყენებენ სახელმწიფო ინტერესებს.

ის, ვინც მთელი ძალ-ღონით არ მუშაობს, ცოტას ან არაფერს აძლევს სახელმწიფოს, მაგრამ სხვების თანაბრად სარგებლობს მთელი სოციალური სიკეთით, მატერიალური და სულიერი დოვლათით, იგი სხვების ნამაგარს ითვისებს. ეს ეწინააღმდეგება სოციალიზმის პრინციპებს, ჩვენი კონსტიტუციისა და ჩვენი კანონების სულისკვეთებას.

ეს უკვე ითქვა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე.

საზოგადოების ყოველი წევრი, ყოველი კომუნისტი, ყოველი მოქალაქე უნდა იმადლებდეს ხმას იმათ წინააღმდეგ, ვინც არ მუშაობს, მაგრამ ჭამს. მათ უნდა მოუწოდოთ კანონიერებისა და წესრიგისაკენ, დისციპლინიანი კაცი ქალაქად იქნება თუ სოფლად შშვიდად ვერ ცხოვრებს ერთ კოლექტივში მექთახორებთან, უქნარებთან, სპეკულანტებთან, მექრთამეებთან, გამომძალველებთან, ბიუროკრატებთან და ჩვენი საზოგადოების სხვა ანტიპოდებთან ერთად.

არცთუ ისე ცოტანი არიან ისინი, ვინც, ცდილობს ყველაფერი მიიღოს საზოგადოებისაგან და არაფერი არ მისცეს მას. საჭიროა დისციპლინის, კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცების ბაზაზე ყველაფერი ეიღონოთ ამისათვის, რომ ჩვენს საზოგადოებაში არ იყვნენ უშრომელი ელემენტები. გულგრილი არ უნდა ვიყოთ იმათ მიმართ, ვინც საათობით ტკეპნის უსაქმოდ ქუჩებს, სკვერებს, მოედნებს. დისციპლინისა და თვითდისციპლინისათვის ბრძოლა წარმოებს, ერთი მხრივ, საზოგადოების ინტერესებისათვის და, მეორე მხრივ, პიროვნების ინტერესებისათვის.

დისციპლინიანი და ორგანიზებული კაცი მეტ ცოდნას, უნარს, ოსტატობას, გამოცდილებას იძენს, თვითონაც მდიდრდება და საზოგადოებასაც ამდიდრებს სულიერი და მატერიალური ღირებულებებით. ასეთ ადამიანს დისციპლინა, შრომა, ორგანიზებულობა მიაჩნია არა მარტო იმ მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა წყაროდ, რომლებსაც ხმარობს, არამედ ბედნიერებისა და კმაყოფილების დაუშრეტელ წყაროდაც.

დისციპლინის სულისკვეთებით მოქალაქეთა აღზრდას პირდაპირი დამოკიდებულება აქვს არა მარტო წარმოებასთან, შრომის შედეგებთან, არამედ განაწილებისა და მოხმარების პრობლემებთანაც. ნებისყოფის ისეთი გამოვლინებები როგორიც არის ჩინებული დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, მკაცრი მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვებისადმი, ადამიანს შესაძლებლობას აძლევს კონტროლი გაუწიოს თავის მოთხოვნილებებს, განივითაროს გემოვნება, ღონივრული, ზომიერი მოხმარების გზას დაადგეს. ულტეტური, უდისციპლინო, ცუდად აღზრდილი ადამიანის სიხარბეს მოხმარების სფეროში საზღვარი არა აქვს. დისციპლინიანი და კულტურული კაცი მოხმარებას ღონივრულად ეკიდება. იგი არასოდეს არ გადადგამს წინდაუხედავ ნაბიჯს გამდიდრებას. კერძოსაკუთრული გრძნობების გულისათვის. ადამიანი საზოგადოებაში ცხოვრობს და უნდა შეეძლოს თავისი მისწრაფებები და სურვილები დაუმორჩილოს საზოგადოების ეკონომიურ, პოლიტიკურ, მორალურ საფუძვლს. წესრიგისათვის უნდა მოვუხმოთ ყველს, ვინც არღვევს სოციალიზმის პრინციპებს.

ჩვენ უარს ვამბობთ დისციპლინაზე, რომელსაც საფუძველად უდევს ცხოვლური შიში. მაგრამ დისციპლინის სულისკვეთებით მოქალაქეთა აღზრდის საქმეში აღმზრდელობითი და, როცა ეს აუცილებელია, იძულებითი ღონისძიებების სწორი შეხამება ჩვენს ძირითად მეთოდად მიგვაჩნია.

სასიხარულოა ღონიშნოს, რომ ღღეს რესპუბლიკაში თანდათანობით წარსულს ბარდება საზოგადოებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულების სულისკვეთება, გამდიდრდნენ სულისკვეთება, წამგლეჯობის, მომხვეჭელობის სულისკვეთება, შეძენის წყურვილი, ზნეობის ეტალონი ხდება ადამიანი, რომელიც არაფერს არ იშურებს საზოგადოების ინტერესებისათვის, გამრჯე ადამიანი, რომელიც სადად, შრომით მოპოვებული შემოსავლით ცხოვრობს, ქმნის ღირებულებებს ხალხისათვის. გრძელდება მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების პროცესი.

დისციპლინა, ერთი მხრივ, თავისთავად მტკიცდება ამ პროცესის მიღწევათა საფუძველზე, მეორე მხრივ, დისციპლინის განმტკიცება მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შემდგომი გაჯანსაღების პროცესს აჩქარებს.

თქვენ იცით, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ პლენუმზე საფუძვლიანი სკკ-ბაასი გაიმართა დისციპლინის განმტკიცების ბევრ მთავარ პრობლემაზე.

მუშათა კლასი, მშრომლები მოითხოვენ ვამხილოთ ყველა, ვინც საეჭვოდ ხდის ღონისძიებებს, რომლებიც რესპუბლიკაში ხორციელდება ყველგან და ყველაფერში წესრიგის დასამყარებლად.

დისციპლინის, სოციალისტური მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცების საკითხები განსაკუთრებით მწვავედ დადგა რესპუბლიკაში მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ. პარტიული, საბჭოთა, სახელმწიფო, ადმინისტრაციული, სამეურნეო, კომკავშირული ორგანოებისა და ორგანიზაციების მუშაობის გააქტიურებამ თავის დროზე გარკვეული დადებითი შედეგები მოიტანა, მაგრამ უკანასკნელ ხანს ზოგიერთმა ორგანომ რამდენადმე შეასუსტა მუშაობა, რასაც გარკვეული არასასურველი ტენდენციები მოჰყვა.

სშკ-ოთველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოში, პარტიის საქალაქო, რაიონულ, საოლქო კომიტეტებში, სამინისტროებში მოდის მშრომელთა წერილები, რომლებშიც ისინი მოითხოვენ გაძლიერდეს ბრძოლა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ.

დიდი ცვლილებები, რომლებიც მეტალურგთა კოლექტივის ცხოვრებაში მოხდა უკანასკნელი წლების მანძილზე, იმითაც გამოვლინდა, რომ მნიშვნელოვნად განმტკიცდა **სახელმწიფო დისციპლინა** და საზოგადოებრივი წესრიგი. ორჯერ და მეტად შემცირდა ქარხნის მუშაკთა მიერ სამართალდარღვევათა რიცხვი. ეს იმის შედეგია, რომ ძლიერდება მშრომელი კოლექტივის როლი და ავტორიტეტი, იზრდება თვითეული მშრომელის პასუხისმგებლობა მშობლიური საწარმოს საქმის ვითარებისათვის.

მაგრამ ჯერ კიდევ მაღალია აღნიშნულ დარღვევათა დონე. ის ფაქტი, რომ მარტო შარშან, 1975 წელს, ქარხნის 142 მუშაკი მთვრალი დაიკავეს და 12 კაცმა ჩაიდინა სისლხის სამართლის დანაშაული, მოწმობს, რომ ქარხნის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები საკმაოდ ეფექტიანად არ მუშაობენ, ჯერ კიდევ არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. ასეთ მდგომარეობას ვერ შევურიგდებთ.

ქალაქ რუსთავში შექმნილია და მუშაობს 200-მდე ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეული და ორი ათასზე მეტი რაზმელი. ქალაქის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის ბირთვია მეტალურგიული ქარხნის რაზმეული. რაზმეულების გარდა, საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად ქარხნებში შექმნილია სპეციალიზებული ჯგუფები, რომლებიც ებრძვიან ცალკეულ სახეობათა დანაშაულობებს.

კარგია, რომ ქარხნის პარტკომის გადაწყვეტილებით შეიქმნა შრომის, საწარმოო დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების ხელშემწყობი კომისია, გაძლიერდა კავშირუთიერთობა ქალაქის ადმინისტრაციულ ორგანოებთან. მეტალურგთა კულტურის სასახლესთან მუშაობენ ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის ფაკულტეტი — ამ მხრივ ბზარდაჭერის ღირსი რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ღონისძიებანი, — კულტურის უნივერსიტეტი, საფაბრიკო ლექციები, მოხსენებები და საუბრები სამართლებრივ თემებზე. შეგვიძლია მოვიყვანოთ ბევრი სხვა მაგალითი.

მუშაობის ასეთი ორგანიზაცია რწმენას გვინერგავს, რომ დისციპლინის განმტკიცებისა და ყველგან და ყველაფერში წესრიგის გაძლიერების პრობლემები წარმატებით გადაწყდება ქალაქსა და ქარხანაში.

ამხანაგებო!

ჩვენი ქვეყნის მოწინავე შრომითს კოლექტივებში იქმნება **მუშური პატიოსნების** კომპანიები. ეს მეტად საინტერესო ფამოწყებაა. მუშური პატიოსნება და სანდოსი ვერ ურიგდება დისციპლინის, წესრიგის, ორგანიზებულობის დარღვევებს. ჩვენ უნდა ვისწავლოთ საბჭოთის მოწინავე შრომითი კოლექტივებისაგან და გავუზიაროთ მათ ჩვენი გამოცდილება.

გვიხარია, რომ რუსთაველი მეტალურგიული ქარხნის შრომითი კოლექტივი — რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი კოლექტივი ღღეს დიდმნიშვნელოვან თაოსნობას იწყებს. ეს რუსთავის ქარხნის მრავალეროვანი კოლექტივის პატრიოტული და ინტერნაციონალური ვალია, და ჩვენ გვჯერა, რომ მისი მუშური სიტყვა და საქმე ერთი იქნება.

მახსოვს, ამ ზთა-თხუთმეტიოდე წლის წინათ რუსთავის საქალაქო პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დაიწყეს მოძრაობა იმისათვის, რომ გადაქცეულ ქალაქი რუსთავი მაღალნაყოფიერი შრომისა და სანმეურნეო კომუნისტური კულტურის ქალაქად. შეგუშავებული იყო მეტად საინტერესო ღონისძიებები. მაგრამ ეს თაოსნობა ისე ჩაკვდა, რომ პირველი ნაბიჯებიც კი არ გადაუდგამს.

ეს იმის მაჩვენებელია, რომ ახლო წარსულში დაბალი იყო რუსთაველი კომუნისტების, მათ შორის მეტალურგიული ქარხნის კომუნისტების დისციპლინისა და ორგანიზებულობის დონე. გასაგებია, სხვა სიტუაცია იყო, მაგრამ კომუნისტი ყველგან და ყველაფერში სიტყვისა და საქმის ერთიანობის ლენინური პრინციპის ერთგული უნდა დარჩეს. ღღეს, როცა ამ თხუთმეტიოდე წლის წინანდელ ამბავს ვიხსენებთ, გვინდა, რომ ასეთი რამ არასოდეს აღარ განმეორდეს, რომ რუსთაველთა ახალმა ვალდებულებებმა მათი მტკიცე ნებისყოფის, ორგანიზებულობის, დისციპლინისა და კომუნისტური პასუხისმგებლობის ჩინებული მაგალითი გვიჩვენოს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ თქვენს თაოსნობას, ვეიფასო რუსთაველებო, ფართოდ გამოეხმაურება რესპუბლიკის ყველა შრომითი კოლექტივი.

ამ ფაქტორებმა, თვითეულმა შრომითმა კოლექტივმა, თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, პარტიის თვითეულმა საქალაქო და რაიონულმა კომიტეტმა, თვითეულმა საოლქო კომიტეტმა უნდა შეიმუშაოს სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების პროგრამა, თვითეულ კომუნისტს, ყოველ შეგნებულ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს თავისი პირადი პროგრამა ამ დარგში.

ვიმედოვნებთ, რომ რუსთაველი მეტალურგების, ქალაქისა და რესპუბლიკის მუშათა კლასის სახელოვან თაოსნობას მხარს დაუჭერენ სოფლადაც. როგორც ყოველთვის, რესპუბლიკის ჯოლმეურნე გლეხობა მოწოდების დონეზე იქნება და ყველაფერს იღონებს, რომ რუსთაველთა თაოსნობით ყველგან მტკიცდებოდეს შრომისა და საწარმოო დისციპლინა.

ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებას სოფლად იმიტომაც, რომ მოსახლეობის მყიდველობითი უნარის ზრდა ბევრადაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სიუხვეზე და სრულფასენ.

ჩვენ ყველას უფრო ინტერესიერად და საგნობრივად უნდა ვიმუშაოთ სოფლის პრობლემებზე.

როცა საზოგადოებრივი დისციპლინისა და ორგანიზებულობის საკითხებს ვსაამთ და ვწყვეტთ, გულგრილი არ უნდა ვიყოთ ოჯახის დისციპლინის პრობლემებისადმი. ოჯახი საზოგადოების სოციალური უჯრედია. იქ იზრდება მომავალი თაობა. მე ვიტყოდი — მთელი თაობები. და ყველაფერი, რაც საუკეთესო აქვს ზნეობათა ტრადიციებს დისციპლინის განმტკიცების, ადამიანის აღზრდის დარგში, უწინარეს ყოვლისა ოჯახში უნდა გადაეცეს მოზარდ თაობას. ჩვენ უნდა დავიცვათ და დაშენერგოთ ისეთი ოჯახური ტრადიციები, როგორიც არის უფროსის პატივისცემა, მორალური სიწმინდე, სამშობლოს სიყვარული, შრომისმოყვარეობა, ერთმანეთის პატივისცემა, ადამიანისა და ადამიანურობის პატივისცემა, შშობლიური გრძნობა, შვილის სიყვარული შშობლებისადმი, მოვალეობის გრძნობა და სხვ.

ოჯახი დიდ როლს ასრულებს მოზარდი თაობის ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ აღზრდაში. ამიტომ სისტემატური მუშაობა დისციპლინის **განმტკიცებისათვის** უნდა ითვალისწინებდეს ოჯახის როლის ამაღლებას. ოჯახის, ბავშვის, ახალგაზრდა მოქალაქეების აღზრდაში. განსაკუთრებით მინდა შევეხო შრომის განაწილებას ოჯახში, ქალის შრომის შემსუბუქებას ოჯახში და სხვ. ამ საკითხებში თავისი როლი უნდა შეასრულოს თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, თვითეულმა ქარხანამ, თვითეულმა შრომითმა კოლექტივმა. მხედველობაში მაქვს შრომითი კოლექტივის გავლენა განსაკუთრებით იმ ოჯახებზე, სადაც ყველაფერი რიგზე ვერ არის ამ მხრივ.

ოჯახი — სკოლამდელი აღზრდის სისტემა — სკოლა — წარმოება — უმაღლესი სასწავლებელი — საზოგადოება ერთ მიზანს უნდა ემსახურებოდნენ — ზრდიდნენ თვითეულ საბჭოთა ადამიანს სოციალისტური დისციპლინის სულისკვეთებით.

შეგნებული დისციპლინა, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის საფუძველია.

შეგნებული დისციპლინის დანერგვის საქმეში დიფერენცირებულად უნდა მივუდგეთ სზოგადოების სხვადასხვა კლასს, სოციალურ ფენასა და ჯგუფს. მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას თავისი სპეციფიკა და თავისი თავისებურებანი აქვთ.

განსაკუთრებული ზრუნვითა და ყურადღებით უნდა აღვზარდოთ სოციალისტური დისციპლინის სულისკვეთებით **ახალგაზრდობა,** მისი სხვადასხვა ფენა; მუშა-ახალგაზრდობა, სოფლის ახალგაზრდობა, ახალგაზრდა ინტელიგენცია, მოსწავლეები და სტუდენტობა.

ამოცანა ის არის, რომ ყოველი შრომითი კოლექტივი, ყოველი პირველადი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული, პიონერული ორგანიზაცია როგორც ქალაქად, ისე სოფლად გახდეს შეგნებული დისციპლინის, მაღალი მომთხოვნელობისა და შემსრულებლობის სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდის სკოლა, აკადემია.

პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ დისციპლინის განმტკიცებაში.

ისინი შეიარაღებული უნდა იყვნენ **ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის, სოციოლოგიისა და სხვა მეცნიერებათა** უახლესი მიღწევებით და მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ესინი საბჭოთა მოქალაქეების აღზრდის საქმეში.

ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობა თავიდან ბოლომდე გამსჭვალული უნდა იყოს ზრუნვით დისციპლინის განმტკიცებისათვის. კადრებთან მუშაობა, მათი შერჩევა, განაწილება, მომზადება, გადამზადება, აღზრდა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს დისციპლინის განმტკიცების ინტერესებს, რადგან ეს ჩვენი კადრების პოლიტიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედია.

ხელმძღვანელი მუშაკები — მინისტრები, რაიონული, საქალაქო, საოლქო კომიტეტების მდივნები, საქალაქო, რაიონული და საოლქო აღმასკომების თავმჯდომარეები, დირექტორები და მმართველები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საამქროების, ცვლების, ბრიგადების ხელმძღვანელები, ოსტატები, დამრიგებლები, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები, — უკლებლივ ყველა, პირადი მაგალითით დისციპლინისა და თვითდისციპლინის სულისკვეთებით უნდა ზრდიდნენ მშრომელებს.

ჩვენ, კიდევ უფრო ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ **კონტროლი** და შესრულების შემოწმება, თვითკონტროლი და თვითშემოწმება სოციალისტური დისციპლინის სულისკვეთებით ადამიანთა აღსაზრდელად.

დისციპლინის განმტკიცების დიდ ზიანს აყენებს კონსერვატიზმი, ბიუროკრატიზმი, პროტექციონიზმი, სუბიექტივიზმი, ბოლუნტარიზმი, ეგოიზმი, კარიერიზმი, მექრთამეობა, გამომძალველობა, ცბიერება, ორგულობა, ორგულობა პარტიის წინაშე, ცილისწამება, ანონიმური წერილები და სხვ. ამ ბოროტებას ულმობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ.

პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რომ სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის მოძრაობა ხანმოკლე კამპანია არ ყოფილ.

უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გააძლიერეს მუშაობა ადგილობრივმა საბჭოებმა, განსაკუთრებით სოფლო და სადაბო საბჭოებმა; გაუმჯობესდა საბჭოების მუშაობა ქალაქებშიც მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. შესამჩნევად გაკეთდა საბჭოების საქმიანობა დისციპლინის განმტკიცების დარგში. ეს საკითხები კვალიფიციურად განხილულ ამასწინათ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიაზე. საჭიროა უფრო ბეჯითად განვაგრძოთ მუშაობა ამ მხრივ.

სანამ ახალ მიჯნებს დავსახავდეთ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმის, რომ გავიაზროთ, რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს. ანალი

ყოველნაირად განვამტკიცოთ სოციალისტური დისციპლინა სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად

(დასასრული)

პარტიული აქტივის კრებაზე გამოვიდნენ მარტენის საამქროს მეფოლადე, ინიციატორი თაოსნობისა — „არცერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენს გვერდით!“ **ო. თ. წითლიძე**, ქარხნის დირექტორი **ო. ნ. სულაძე**, დგან „1000“-ის უფროსი ოპერატორი **ლ. ხ. აგამიანი**, სარკინიგზო საამქროს პარტბიუროს მდივანი **გ. გ. ფრუიძე**, მილსადენადავი საამქროს უფროსი **ო. პ. ხოფერია**, ბრიქედის საამქროს ცვლის უფროსი **ა. გ. გოგიშვილი**, სორტული გლინვის საამქროს ტექნიკური კონტროლის განყოფილების უბნის უფროსი **ო. ი. სამარინა**, № 3 საბაზო პროფტექსსწავლების კურსდამთავრებული **ლ. შ. კიკილაშვილი**, კოქსქიმიური საამქროს უფროსი მეაირე **ს. ი. ჩუმაჩენკო**, ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი **ლ. შ. საყვარელიძე**, მილსაგლინავი საამქროს დგან „400“-ის უფროსი მვალცავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ე. ხ. ჟურტანიძე**, საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **რ. მ. გიორგაძე**.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომუნისტები, მთელი მრავალთასიანი კოლექტივი უდიდესი აღფრთოვანებით იბრძვიან სკკპ XXV ყრილობის გადწყვეტილებათა განსახორციელებლად. რუსთაველი მეტალურგები, რომლებმაც გადამდე შეასრულეს მეცხრე ხუთწლედის დავალებანი, არ ანებებენ შრომის ტემპს. ამავდროულად თავდაში წარმატებებს, ადიდებენ პროდუქციის გამოშვებას, ამცირებენ მის თვითღირებულებას, აუმჯობესებენ ხარისხს.

ქარხნის კოლექტივის, ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა მშრომელის პოლიტიკური და შრომითი ენთუზიაზმის ახალი აღმავლობა მოჰყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას — „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციონალური და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ ამ ზოგად-პარტიული მნიშვნელობის დოკუმენტმა, რომელშიც დიდი შეფასება ეძლევა რესპუბლიკის მშრომელთა მეღვწვების სამეფონრო და კულტურული მშენებლობის ჩამორჩენის დაძლევისათვის ბრძოლაში, მეტალურგები ახალი შრომითი მიღწევებისათვის შთაგონდა. ადუთქვამენ რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტს, რომ საეს ბით უჭერენ მხარს კურსს, რომლის მიზანია უზრუნველყოს პარტიული რიგების ბრძოლისუნარიანობის შემდგომი განუხრელი ამაღლება, შეკავშირება და სიწმინდე, კომუნისტთა ავანგარდული როლის გაძლიერება საზოგადოებრივი და საწარმოო ცხოვრების ყველა უბანზე. აამაღლოს მომთხოვნელობა თვითეულისადმი — მუშა იქნება ის, თუ მინისტრი. გააქტიუროს მათი მეცადინეობა მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განხორციელების საქმეში, — რესპუბლიკის კომუნისტთა ერთ-ერთი მოწინავე რაზმის წარმომადგენლებმა გამოიჩინეს საყურადღებო ინიციატივა, რომლის მიზანია სოციალისტური დისციპლინის ყოველნაირად განმტკიცება სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად.

 კრებაზე დიდი კმაყოფილებით აღინიშნა ის შესამჩნევი ძვრები, რომლებიც რესპუბლიკის ცხოვრების ყველა დარგში მოხდა ამ უკანასკნელ ხანს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ბევრი რამ გაკეთდა თვითეულ შრომითს ოლექტივში და მთლიანად რესპუბლიკაში ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური ატმოსფეროს შესაქმნელად. ნეგატიური მოვლენების, ბიუროკრატიზმის, უპასუხისმგებლობის, ფუძისეპნონობის, შრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი უსულგულო დამოკიდებულების ყოველგვარ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაენერნ თავითო მასები. ამის შედეგად შრომითს კოლექტივებში ჩნდება ახალი პატრიოტული თაოსნობანი და ინიციატივები.

ქარხნის ყველა საამქროში, ქალაქ რუსთავის მთელ რიგ საწარმოებში ფართოდ გამოვხმაურნენ მესამე მბრტენის ღუმელის მეფოლადის ო. წითლიძის ბრიგადის ინიციატივას — „აღიარეთ ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენს გვერდით!“.

ქარხნის პარტიულმა აქტივმა დიდი შეფასება მისცა ამს. წითლიძისა და მისი ამხანაგების ინიციატივას, მეინნია რა ერთ-ერთ ქმედით მეთოდად, რომლის მეოხებითაც მტკიცდება სოციალისტური დისციპლინა და მისი მრავალი გამოვლინებითურთ მაღლდება შრომის ეფექტიანობა და უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი. სწორედ ამას მოითხოვს მეათე ხუთწლედი, მოწინავე პოზიციებზე რესპუბლიკის ვასვლისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი.

ინიციატორმა ბრიგადამ დასახა ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ეხმარებიან ჩამორჩენილებს მიაღწიონ მოწინავეთა დონეს, ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. შრომისა და საწარმოო დისციპლინის დარღვევათა სრულ ლიკვიდაციას და მტკიცედ იბრძვის მათი განხორციელებისათვის.

შრომის შედეგებით ყველას დაინტერესებამ მაშინვე იჩინა თავი — ბრიგადა ღღითი დღე აუმჯობესებს თავის მაჩვენებელს, მას ბაძავენ სხვები.

კრებაზე გამოსულებმა დაწვრილებით გაანალიზეს ქარხნის წინანდელ საქმეთა მდგომარეობა, ღონისძიებათა სისტემა, რომელთა შესრულებამ ხელი შეუწყო ქარხნის კოლექტივს კომფესტების მეთაურობით წარმატებით განხორციელებინა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე მოთხოვნები.

ქარხნის კოლექტივს ბევრი სიძნელის დაძლევა და ნაკლის აღმოფხვრა მოუხდა, რათა ჩამდგარიყო ქვეყნის მოწინავე მონათესავე საწარმოთა რიგში. გზა, რომელიც რუსთავის მეტალურგთა კოლექტივმა განვლო მეცხრე ხუთწლედში, ქარხნის ისტორიის ბრწყინვალე ფურცელია. ყრილობისწინა სოციალისტური შეჯიბრება გაძლიერებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებაში.

პასუხსაგები ამოცანები დგას ქარხნის კოლექტივის წინაშე მეათე ხუთწლედში. გეგმების მასშტაბურობას მოწმობენ ასეთი ციფრები: გათვალისწინებულია თუჯის საწარმოო სიმძლავრეთა მატება 420 ათასი ტონით, ფოლადისა — 300 ათასი ტონით, ფოლადის ფურცლისა — 130 ათასი ტონით, მილებისა — 70 ათასი ტონით. ხუთწლედის დამლევისათვის პროდუქციის 35 პროცენტი ხარისხის სახელმწიფო ნიშნით გამოვა. ამ მაღალ მაჯნებს ძირითადად უნდა მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების ზრდის მეოხებით საწარმოს რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების ბაზაზე.

ლითონის წარმოების ზრდას, ეკონომიური, ხარისხოვანი მაჩვენებლების გაუმჯობესებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს შრომის ორგანიზაციის დონე, მოწინავე გამოცდილებას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა მაქსიმალური გამოყენება, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცება.

მოწინავეობა დიდი პატივი და ნდობაა კოლექტივისათვის, მაგრამ ამავე დროს დიდი პასუხისმგებლობაც არის, თქვეს კრების მონაწილეებმა. ამიტომ, მხარი დაუჭიროს რა მემარტენეთა მოწოდებას, რუსთაველმა მეტალურგებმა ჩვეულებრივი სოციალისტური ვალდებულებების გარდა იკისრეს თვისებრივად ახალი, მორალური ვალდებულებანი, უწინარეს ყოვლისა — ავამაღლონ კოლექტივის მომთხოვნელობა მისი ყოველი წევრისადმი — პრინციპული, თან ისეთი მომთხოვნელობა, რომელიც დამყარებული იქნება ადამიანის პატივისცემასა და მისადმი ყურადღებაზე. მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინის დაცვისათვის ზრუნვა მარტო სახელმწიფო ორგანოებისა და ქარხნის ადმინისტრაციისა კი არა, მთელი საზოგადოებრიობის, თვითეული მშრომელის საქმე უნდა გახდეს. კიდევ უფრო უნდა გავაქტიუროთ საწარმოს საამქროებში „ელექტროფოლადის“ ქარხნის მაგალითისამებრ შექმნილი „მუშური პატიოსნების“ კომისიების მუშაობა. მაღალი შეგნების სულისკვეთებით კოლექტივის წევრთა აღზრდისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელის პირად მაგალითს. კრებაზე აღინიშნა ალერეთვე, რომ სულ უფრო იზრდება ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების როლი, რომლებიც წარმოებაში უნდა იყვნენ არა უბრალო მეთაურები, არამედ ინტელექტუალური ლიდერები; სწორედ ამიტომაა აუცილებელი, რომ ისინი დღეიდაგან მუშაობდნენ არა მარტო თავანთი პროფესიული დონის ამაღლებისათვის, არამედ ზოგადი ჰორიზონტის გაფართოებისთვისაც.

დისციპლინისა და ორგანიზებულობის მდგომარეობა, დონე საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავს ხუთწლედისათვის, მაღალი ხარისხისადმი მაჩვენებლებისათვის ბრძოლის წარმატებას. სწორედ დისციპლინის განმტკიცებითა და მინდობილი სამუშაოს უბნისათვის თვითეულის პასუხისმგებლობის ამაღლებით დაიწყო ქარხნის ყველა საამქროში ბრძოლა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად. ამ ბრძოლას სათავეში ჰაუდგნენ კომუნისტები. ბოლო წლების მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა პარტიული კრებების როლი და მნიშვნელობა, ამ კრებებზე გამოტანილი საკითხები კონკრეტული, საყურადღებო, საქმიანი ბოროტოა, მიღებული გადაწყვეტილებანი ზუსტად განსაზღვრავენ მათი შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირებს. და, რაც ყველაზე მთავარია, ამაღლდა კომუნისტების მიერ ერთად მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობისადმი კონტროლის დონე, გაუჭარბესდა საშემსრულებლო დისციპლინა. ორგანიზატორულ-პოლიტიკურ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელების, ზემდგომ ორგანოთა დახმარების მეოხებით გაიზარდა პირველადი პარტ-ორგანიზაციის ავტორიტეტი, ბრძოლისუნარიანობა და აქტივობა.

მეათე ხუთწლედში დიდი ამოცანები დგას ძირითადი — საბრძმედე საამქროს კოლექტივის წინაშე. აქ უნდა განახორციელონ № 2 ბრძმედის რეკონსტრუქცია, რაც ახალი საადმინისტრაციო ფაბრიკისა და ჟანგბადის დანადგარის მშენებლობასთან კომპლექსით ხუთწლეულის მანძილზე თვჯის გამოდნობას 55 პროცენტით გაზრდის. შეუშვავებულია ტექნიკური სიახლეებს, მთელი რიგი შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის ღონისძიებანი. ამ ღონისძიებათა შემოგავებისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს მუშებმა, მათ შორის ბევრმა ახალგაზრდამ. საამქროს ცვლის უფროსმა ა. გოგიშვილმა გადაწყვიტა დახმარებოდა მათ უფორო აქტიურად მიეღოთ მონაწილეობა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში. ასე გაჩაღდა საამქროში შეჯიბრება დევიზით: „მუშათა ინიციატივას — ინჟინერთა ხელდაჭერა!“. თვითეული ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი შეფობას უწევს ორ ახალგაზრდა მუშას, რათა შეამუშავებინოს მათ 5-6 რაციონალიზატორული წინადადება ხუთწლედის მანძილზე; მიაღწიოს, რომ საამქროში არ იყოს არც ერთი ჩამორჩენილი, არც ერთი დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი, იმეშაოს დევიზით: „თვითეული ჩამორჩენილისა და დისციპლინის დამრღვევისთვის პასუხს აგებს მთელი კოლექტივი!“. ეს მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მებრძმედეებმა გადაწყვიტეს მეათე ხუთწლედში გეგმის გადამეტებით გამოუშვან 20 ათასი ტონა თუჯი, აქედან 1976 წელს — 4 ათასი ტონა. და ამ თაოსნობას ახურვალად დაუჭერეს მხარი სხვა საამქროთა კოლექტივებმა.

კრების მონაწილენი დაწვრილებით შეეხნენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემებს. ქარხანაში შემუშავებული მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების დანერგვამ წელსვე უნდა უზრუნველყოს საწარმოს ოთხი სახეობის პროდუქციასთვის ხარისხის სახელმწიფო ნიშნის მინიჭება. კრებაზე აღინიშნა, რომ ეს პროგრამა უნდა ხორციელდებოდეს მიზანდასახულად, გეგმაზომიერად და ზუსტად.

კრებაზე შეეხნენ საწარმოო ესთეტიკის საკითხებს. ორატორებმა თქვეს, რომ ბოლო დროს ქარხანაში ბევრი რამ გაკეთდა მისი გარეგნული სახის გაუმჯობესებისა და ტერიტორიის გამწვანებისათვის. ამ სილამაზის შესაბამისად წესრიგში უნდა მოვიყვანოთ სამუშაო ადგილების გარეგნული სახეც. ცუდად არის სპეცტანსაცმლის საქმე. იგი არ შეესაბამება თანამედროვე საბჭოთა მუშის გემოვნებას. წამოაყენეს წინადადება, რომ რუსთავში შეიქმნას სამუშაო სპეცტანსაცმლის მოდელების სახლი.

დიდი ყურადღება დაეთმო მეტალურგთა კადრების შევსებას, მათი პროფესიული ოსტატობის ზრდის საკითხს. კერძოდ, აღინიშნა, რომ რუსთავის № 3 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი ქარხნის კადრების ნამდვილი სამკვიდლო გახდა. თავისი არსებობის მანძილზე სასწავლებელმა 3.500 ახალგაზრდა მეტალურგი მოამზადა. ახალგაზრდა კადრების მომზადება, მათი პროფესიული ოსტატობის ამაღლება უნდა წარმოებდეს უშუალოდ საწარმოშიც. ამ საქმეში რუსთაველებს კარგი ტრადიციები აქვთ. საჭიროა განუხრელად დაიცვან და ამრავლონ ეს ტრადიციები. „უნდა გაძლიერდეს დამრიგებელთა როლი, მეტი მუშაობა გვმართებს ახალგაზრდობასთან, რათა აღვზარდოთ იგი პარტიისა და ხალხის ერთგულების სულისკვეთებით.

ქარხნის კომკავშირელთა და ახალგაზრდობის სამეთაესაანზე მეტი არმია თვალსაჩინეთი უფრთხილდება და ავითარებს მამა-პაპის მდიდარ შრომითს ტრადიციებს. კომკავშირელები ყოველდღიურად, ყოველ საათს გვიჩვენებენ თავდადებული, ეშმაკურად ბრძოლა ნამუშევს. კომკავშირის კომიტეტმა, საამქროო კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გააჩაღეს ბრძოლა თვითეული სამუშაო წუთის სრული გამოყენებისათვის, აღმოფხვრილია სამუშაოზე დაგვიანება, გაცდენები. შრომის დისციპლინის ამაღლებაში დიდ როლს ასრულებს „კომკავშირული პროექტორი“, რომლის რეიდებიც წარმოების საქმეებზე კომკავშირული ზემოქმედების ქმედითი და ოპერატიული ფორმა გახდა. ამის შედეგად მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შარშანდელთან შედარებით ბევრად შემცირდა ახალგაზრდების შორის დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა რიცხვი. კომკავშირელთა უმნიშვნელოვანესი ვალია კვლავაც გამოიყენონ მთელი თავიანთი შესაძლებლობანი ამისათვის, რომ შეუწყნარებლობის ვითარება შექმნან გამცდენებისა და ფრენიების, ზარმაცებისა და წუნსაკეთებლების — ყველა ამათ გარშემო, ვინც არ აცხვენს საბჭოთა მუშის სახელს და საამაყო წოდებას.

პარტიული აქტივის კრებაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებს. ხალხთა ლენინური მეგობრობა ჩვენი ძალაა, — თქვეს მეტალურგმა კომუნისტებმა. — ჩვენ ამის მოწმენი ვართ, თუ რა მოზაღდასახელოდ მუშაობს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია მშრომელთა კომუნისტური და ინტერნაციონალისტური აღზრდის დარგში. ამას კარგი შედეგები მოაქვს. მაგალითად, რუსთავის ქარხნაში ერთსულოვან ოჯახად წარმატებით შრომობენ 32 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელები, ერთიანი ძალით ამრავლებენ სამშობლოს ძლიერებასა და დოვლათს.

თვითეული პარტორგანიზაციისათვის, თვითეული კომუნისტისათვის ახლა არა არის რა იმაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი ვალი, ვიდრე მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების თანამიმდევრული შესრულება. წარმატების საწინდარია პარტიული ხელმძღვანელობის დონის განუხრელი ამაღლება, როგორც ამას მოითხოვენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი, თქვეს კრებაზე გამოსულმა ორატორებმა.

საამქრო პარტიულ ორგანიზაციებს, პარტიულ კომიტეტს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი სრულყონ მუშაობის სტილი და მეთოდები, აამაღლონ მომთხოვნელობა პარტიის თვითეული წევრისადმი, დარაზმონ პრომაგანდისა და აგიტაციის მთელი ძალები და სამუშაოებანი სკკპ XXV ყრილობის დავალებათა შესასრულებლად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კადრების ეკონომიურ სწავლებას, ეკონომიურ თემებზე სემინარებისა და კონფერენციების მოწყობას.

ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაციები საწარმოს თვითეულ მშრომელს აცნობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მნიშვნელობას, განუმარტავენ მის დებულებებს, რათა ყოველმა მათგანმა განსაზღვროს თავისი ადგილი დადგენილებიდან გამომდინარე მოთხოვნების განხორციელებისათვის ბრძოლაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ დებულებას, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა საქართველოს კომპარტიის საქმიანობას, ამასთანავე ყურადღება მიაპყრო მთელ რიგ დადმნიშვნელოვან ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებს, კერძოდ, ეკონომიკის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის დარგში.

კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ დადგენილება ბოლოს ღუღის ყოველგვარ მონაჭორებსა და მონაჩმახებს, ხმებსა და მითქმა-მოთქმას, რომლებსაც აერცელებენ ყველა ჯურის ანტიბოდები, ისინი, ვისაც არ სურს ფეხი აგვიწყოს, ვერ ხედავს ან, უფრო სწორად, არ სურს დანახოს რესპუბლიკაში მიმდინარე პოზიტიური ძვრები.

რესპუბლიკის საზოგადოებრივ და სამეურნეო ცხოვრებაში უკვე მომზდარი ცვლილებები ჩანს ქალაქ რუსთავის მაგალითთაც, სადაც წარმატებებია მიღწეული სამრეწველო წარმოების მოცულობის, პროდუქციის რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდის სახელმწიფო გეგმების შესრულებაში, წარმოების მართვის სრულყოფაში, საწარმოთა მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებაში, საბანაო მეურნეობაში. ყოველივე ეს ბევრად განსაზღვრა პარტიული ორგანიზაციების, პარტიის საქალაქო კომიტეტის მეცადინეობამ. ღონისძიებებს, რომლებსაც ისინი ახორციელებენ, ფართოდ უჭერენ მხარს მშრომელები. კომუნისტები, რომლებიც წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების სოციალურ-ეკონომიურ ბერკეტებს ამოქმედებენ, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საქმისადმი შემოქმედებითი, ნოვატორული დამოკიდებულების განვითარებას, მასების დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებას.

ეს მუშაობა უნდა ფართოვდებოდეს და მტკიცდებოდეს.

კრების მონაწილეებმა ქარხნის მთელი კოლექტივის სახელით დიდი მადლობა უძღვნეს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას კოლექტიური მეგალეობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის გამო; მეტალურგებმა 80 ჰექტარი მიგდებული მიწები ბაღნარად აქციეს და იქ თავიანთი ოჯახის წევრებთან ერთად ატარებენ თავისუფალ დროს.

ამასთანავე კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა გაძლიერდეს მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, მათი კულტურული დასვენების უფრო ფართო შესაძლებლობათა შექმნისათვის ზრუნვა. ამ მხრივ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ქალაქის მომსახურების სფეროში — ვაჭრობაში, ტრანსპორტზე და სხვ. — ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. საჭიროა კიდევ უფრო გავაძლეროთ საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლა.

კრებამ აღუთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ რუსთაველი კომუნისტები, ყველა მშრომელი არ დაიშურებენ ძალ-ღონეს, რათა უთუოდ შეასრულონ მეათე ხუთწლედის პირველი წლისა და მთელი ხუთწლედის გეგმები და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, წარმატებით განახორციელონ სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადწყვეტილებები.

რუსთაველ მეტალურგიული ქარხნის პარტიული აქტივის კრებამ მიიღო მიმართვა საქართველოს ყველა მშრომელისადმი.

ტაში გრიალში კრების მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

(საინფორმო).

ვითარება ლიბანში

ბეირუთი. (საკადესი), ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე უკანასკნელი შეთანხმების მიუხედავად, რომელიც არაბული ქვეყნების ლიგის ფარგლებში მიღწეული, მემარჯვენე ქრისტიანულ პარტიათა შეიარაღებული შენაერთები განაგრძობენ ხაომარ მოქმედებას ეროვნულ-პატრიოტული ძალებისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის წინააღმდეგ.

განვლილი დღე-ღამის მანძილზე მთელ ქვეყანაში დაიღუპა 245 და დაიჭრა 310-ზე მეტი კაცი. ლიბანის დედაქალაქში კვლავინდებურად არ ირის ელექტროენერგია და წყალი. თგრძნობა სურსათისა და მედიკამენტების მწვავე ნაკლებობა.

ლიბანის მემარჯვენე ქრისტიანული ძალების ხელმძღვანელობას, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა აქვს ისრაელიალისტურ და სიონისტურ წრეებთან, ს